186
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1970 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1970 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

11494

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

50. საქართველოს სს რესპუბლიკაში შინაგანი წყალსატევების თევზსამეურნეო ათვისებისა და საზღვაო თევზჭერის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

51. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 მარტის № 158 დადგენილებასთან დაკავშირებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 თებერვლის № 70 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 311 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

54. „ღღისით სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისაგან ცენტრალური ქუჩების განსატვირთავად ტვირთის საღამოსა და ღამის გადაზიდვის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 4 მარტის № 130 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. გათხევადებული გაზის გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ
56. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების წესის შესახებ.
57. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
58. დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო გასამრჯელოს შესახებ
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებების დამატების შესახებ
60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აგვისტოს № 517 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
61. კაფეების, რესტორანებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მუშაობის შესახებ.
62. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 მარტის № 126 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 აპრილის № 229 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
65. საქართველოს სსრ ზოგიერთი სასწავლებლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სახელების მიკუთვნების შესახებ.
66. საქართველოს სს რესპუბლიკაში ძირითად სახეობათა ბოსტნეულის ახალი შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ.
67. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 სექტემბრის № 602 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
68. ზოგიერთი ადმინისტრაციული შენობის, სანახაობითი და სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და დაპროექტების შეჩერების შესახებ.
69. სოფლად მასწავლებელთა ბინების გათბობა-განათების ნორმების დადგენის შესახებ.
70. საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულისა და ხილის სახელმწიფო საცალო ფასების დამტკიცების შესახებ.
71. ადგილობრივი საფინანსო ორგანოების გადასაწყვეტად ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

50 საქართველოს სს რესპუბლიკაში შინაგანი წყალსატევების თევზსამეურნეო ათვისებისა და საზღვაო თევზჭერის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში შინაგანი წყალსატევების თევზსამეურნეო ათვისებისა და თევზის საზღვაო ჭერის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. თავმოყრილ იქნეს რესპუბლიკის თევზსამეურნეო საქმიანობა, საოკეანო რეწვის გარდა, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოში (საქთევზმრეწვი).

2. გადაეცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო შინაგანი წყალსატევები, რომლებიც გამოყენებულია თევზსამეურნეო მიზნებით, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს, დანართის თანახმად.

დაევალოს „საქთევზმრეწვს" შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული და მშენებარე შინაგანი წყალსატევების შემდგომ ათვისებას, თევზის მარაგის კვლავწარმოებას, გუბურისა და ტბის თევზჭერის განვითარებას იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლისათვის თევზის ჭერა და მისი ახალი სახით მიწოდება აღწევდეს წელიწადში ათასობით ცენტნერს.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს გამოყოფა საქთევზმრეწვის გამგებლობიდან და მისი უშუალო დაქვემდებარება სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მჟავანაძე.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 19 მაისი, № 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 მაისის № 307 დადგენილების დანართი

ნუსხა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელოვნური წყალსატევებისა და ტბებისა, რომლებიც საქთევზმრეწვს გადაეცა

რაიონები	წყალსატევებისა და ტბების დასახელება	ფართობი ჰექტარობით	შენიშვნა
1. ამბროლაურის	შაორის წყალსაცავი . .	236	მოქმედი
2. ადიგენის	თრიალეთის წყალსაცავი	130	მოქმედი
3. ადიგენის	ჯალიგოლის ტბა . . .	7	
4. ახალქალაქის	ალანდირგოლის ტბა . .	11	
5. ახალქალაქის	აბულის ტბა	168	
6. ახალქალაქის	ვაჩიანის ტბა	150	
7. ახალქალაქის	დარინგოლის ტბა . . .	26	
8. ახალქალაქის	ქართლიგოლის ტბა . .	106	
9. ახალქალაქის	ლევანგოლის ტბა . .	80	
10. ახალქალაქის	ნაბაგოლის ტბა . . .	15	
11. ახალქალაქის	ოსმანგოლის ტბა . . .	16	
12. ახალქალაქის	ერისენის ტბა	500	
13. ახალქალაქის	ჩაპლახის ტბა	7	
14. ახალქალაქის	ხოზაპინის ტბა . . .	2260	
15. ბორჯომის	კახისწეროსის ტბა . . .	25	
16. ბათუმის	შავი ზღვა	10	
17. ბოგდანოვკის	ბუღდაშენის ტბა . . .	55	
18. ბოგდანოვკის	მადათაფანის ტბა . . .	886	
19. გარდაბნის	ჯანდარის ტბა	1230	მოქმედი
20. გარდაბნის	წოდორეთის ტბა . . .	8	
21. გაგრის	ინკითის ტბა	49	მოქმედი
22. გალის	გალის წყალსაცავი . .	845	
23. გალის	ბებისირის ტბა	172	მოქმედი
24. გორის	ნადარბაზევის ტბა . . .	50	მოქმედი
25. გურჯაანის	ტიხის ტბაწვერის ტბა .	12	
26. დმანისის	გომარეთის ტბა . . .	10	მოქმედი
27. დმანისის	სოლიუგლის ტბა . . .	45	მოქმედი
28. დმანისის	პანთიანის წყალსაცავი .	80	მოქმედი
29. დმანისის	შეხმარლოსის წყალსაცავი	80	მოქმედი
30. დმანისის	იაკუბლოს პირველი წყალსაცავი	200	

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	წყალსატევებისა და ტბების დასახელება	ფართობი ჰექტარებით	შენიშვნა
31. დმანისის	იაკუბლოს მეორე წყალსაცავი	60	
32. დუშეთის	ბახალეთის ტბა . . .	124	მოქმედი
33. თიანეთის	სიონის წყალსაცავი . .	1120	მოქმედი
34. თიანეთის	ერწოს ტბა	53	
35. თეთრიწყაროს	მარაბდის წყალსაცავი .	25	მოქმედი
36. თეთრიწყაროს	პოსედინის ტბა . . .	7	
37. გარდაბნის	ლისის ტბა	47	
38. გარდაბნის	კუს ტბა	7	
39. ტყიბულის	ტყიბულის წყალსაცავი .	1174	მოქმედი
40. ლანჩხუთის	იმნათის ტბა	7	
41. ლანჩხუთის	ჩალუბანის ტბა	8	
42. ლენინგორის	კელისის ტბა	430	
43. ლენინგორის	დიდი წითელი ხატის ტბა	30	
44. ლენინგორის	პატარა წითელი ხატის ტბა	12	
45. საგარეჯოს	გარეჯის ტბა	66	
46. საგარეჯოს	მლაშეხარის ტბა . . .	68	
47. სიღნაღის	ნატბევარის ტბა . . .	65	
48. ფოთის	მარტოწყლის წყალსაცავი	30	
49. წალკის	ხადიკის ტბა	10	
50. ჯავის	ქვედაკომიშადის ტბა . .	25	
	სულ: .	11.836	

ეროვნული ბიბლიოთეკა

51 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 მარტის № 158 დადგენილებასთან დაკავშირებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 თებერვლის № 70 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 4 ნოემბრის № 856 დადგენილებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 მარტის № 158 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 თებერვლის № 70 დადგენილების პუნქტები 4, 5, 7, 9 და 11.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 2 ივნისი, № 326.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი

52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 23 მარტის № 132 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 ნოემბრის № 630 დადგენილებაში „მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის საკითხები“:

1. პუნქტი 5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნება დართონ მებაღეობის ამხანაგობებს აშენონ, კოლექტიური ბაღის ტერიტორიის ორგანიზაციისა და განაშენიანების პროექტის შესაბამისად, დამტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცებული პროექტის მიხედვით პანსიონატები, ხილსაცავები და საერთო სარგებლობის სხვა შენობები და ნაგებობანი".

2. მე-7 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „მებაღეობის ამხანაგობათა შევრებს და".

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-10 და მე-11 პუნქტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 6 მაისი, № 246.

53 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 311 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 4 ნოემბრის № 856 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 6 მარტის № 158 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 311 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქარხანა „საქმინანქარჭურჭლის" მუშაობის გაუმჯობესების, რკინის მომინანქრებული ჭურჭლის ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის ამაღლების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 6 მაისი, № 247.

ეროვნული ბიბლიოთეკა

54 „დღისით სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისაგან ცენტრალური ქუჩების განსატვირთავად ტვირთის საღამოსა და ღამის გადაზიდვის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 4 მარტის № 130 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

ითვალისწინებს რა, რომ თბილისის ქუჩებში ტვირთზიდვა გაიზარდა 30 პროცენტით და საჭიროა ქუჩების მაქსიმალურად განტვირთვა ღამისა და საღამოს ტვირთზიდვის გზით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საავტომობილო ტრანსპორტის, მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ვაჭრობის, კვების მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, დამზადების სამინისტროებმა, ამიერკავკასიის „ტრანსმშენმა“, ტრესტ „ინჟმშენმა“, საქნავთობმარაგგასაღების სამმართველომ მოაწყონ 1970 წლის 1 ივლისიდან სამრეწველო, სამშენებლო და სასურსათო ტვირთის მიღება და გადაზიდვა საღამოს და ღამის საათებში დანართით გათვალისწინებული მოცულობით, შეადგინონ გრაფიკი კვების პროდუქტების, სასურსათო საქონლის, კონტეინერების, საშენი მასალების, რკინა-ბეტონის ნაკეთობების, საკედლე მასალების, ნავთობპროდუქტების, აგურისა და სხვ. შეტანისა სავაჭრო ქსელში, მშენებლობებზე, ბაზებში, საწყობებში, უზრუნველყონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები მექანიზმებითა და განათებით; დროზე განახორციელონ ავტომობილების დატვირთვა და გადმოტვირთვა, არ დაუშვან მათი გაცდენა.

2. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ტვირთის ამ დადგენილებით დაწესებული რაოდენობის გადაზიდვა საღამოს და ღამის საათებში, ამასთან დაიცვას ტვირთის საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის წესები და აუკრძალოს თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორებს სატვირთო ავტომობილების მიწოდება დღისით ისეთი ტვირთისათვის, რომლის გადაზიდვა ამ დადგენილებით გათვალისწინებულია საღამოსა და ღამის საათებში.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გააუმჯობესოს ინფორმაცია ტვირთის მიღების შესახებ და უზრუნველყოს ვაგონების თანაბრად მიწოდება ტვირთმფლობელთა მისასვლელ ლიანდაგებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 7 მაისი, № 250

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 7 მაისის № 250
დადგენილების დანართი

ნუსხა

სამინისტროებისა და უწყებებისა, რომლებიც მოვალენი არიან აწარმოონ ტვირთის მიღება და გატანა საღამოს და ღამის საათებში

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	ტვირთის დასახელება	რაოდენობა ტონობით
1. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	ბეტონის ნაკეთობანი	30 ათასი
2. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო და ნავთლუღი-1 სადგურები	ინერტული მასალა ფხვიერი ტვირთი კონტეინერები	100 15 6
3. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო	ფქვილი	4
4. საქნავთობმარაგგასაღება	ნავთობპროდუქტები	6
5. საქ. სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	ლუდი-ლიმონათი	2,5
6. საქ. სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	სილიკატური აგური	10
7. საქ. სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	რძე	100%
8. ტრესტი „ინჟმშენი“	ასფალტბეტონი	4

სულ 179 ათასი ტონა თვეში (რძისა და რძის ნაწარმის ჩაუთვლელად, ანუ 7200 ტონა საშუალოდ დღე-ღამეში)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

55 გათხევადებული გაზის გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ

მოსახლეობისათვის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდი გათხევადებული გაზის გასაცემი ფასების რაოდენობის მოწესრიგებისა და ამ სახეობის სათბობზე რესპუბლიკაში მოქმედი ზონალური ფასების შემცირების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და 1971 წლის 1 იანვრიდან იქნეს შემოღებული სამოქმედოდ საგაზო მეურნეობების მიერ მოსახლეობისათვის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ბალონებით და ცისტერნებით მისაყიდი ერთი კილოგრამი გათხევადებული გაზის გასაცემი ფასები ფრანკო-აბონენტი (ბალონების დაყენებით და ტევადობათა ჩასხმით ადგილზე):

— საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე გარდა აჭარის ასს რესპუბლიკისა 14 კაპიკი

— აჭარის ასსრ ტერიტორიაზე 10 კაპიკი

2. შენარჩუნებულ იქნეს ფასდაკლება ჯარის ნაწილებისათვის, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ 1963 წლის 5 მარტს № 258 და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის 1969 წლის 7 თებერვლის № 18 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 7 მაისი, № 252.

56 საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების წესის შესახებ

ამონაკრები

იმის გამო, რომ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების ღონისძიებათა შესრულების საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 30 დეკემბრის № 669 დადგენილებით გათვალისწინებული ვადა უკვე გავიდა, აგრეთვე ითვალისწინებს რა ინერტული მასალების მშენებლობათა მომარაგების მხრივ შექმნილ დროებითს სიძნელეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის შავი ზღვის მიმდებარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგებას, ვადით 1972 წლამდე, დანართის თანახმად.

კატეგორიულად აიკრძალოს ბალასტის მოპოვება საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის ყველა დანარჩენ უბანზე.

3. ინერტული მასალების დამუშავება ამ დადგენილების ღონისძიებებით გათვალისწინებულ ადგილებში მოხდეს მხოლოდ იმ სქემის ან პროექტის მიხედვით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან.

4. საშენ მასალათა მრეწველობის და მშენებლობის სამინისტროებმა უზრუნველყონ პირველ რიგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სამშენებლო ორგანიზაციების მოთხოვნილება ინერტულ მასალებზე, რომელთა მოპოვება წარმოებს წყურგილისა და ჭოროხის მექანიზებულ კარიერებში.

ამ მასალებზე განაცხადები წარედგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმომარაგებას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს:

ა) 1970 წლის ივლისის დამლევამდე დაამტკიცოს მარაგთა ტერიტორიული კომისიის სხდომაზე ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ინერტული მასალების საბადოების მარაგი (მდინარე ენგურის კალაპოტი, რკინიგზის ხიდის ქვემოთ) და გადასცეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს;

ბ) 1970 წლის განმავლობაში შეასრულოს სარევიზიო სამუშაოები მდინარე კელასურისა და მაჭარას ხეობებს შორის მდებარე მთის მასივების კონგლომერატების საბადოების წინასწარ გამოკვლეულ საბადოზე და სათანადო მასალები გადაუგზავნოს გამოსაყენებლად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს.

6. დაევალოთ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სახმშენს განიხილონ ინერტული მასალების კოკის საბადოს დაზვერვის გეოლოგიური შედეგები და მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავიანთი მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ აშენდეს მდინარე ენგურის ალუვიონის ბაზაზე ინერტული მასალების მექანიზებული ქარხანა, რომელიც წელიწადში დაამზადებს ერთ მილიონ კუბურ მეტრზე მეტ მასალას.

7. მას შემდეგ, რაც სრული საპროექტო სიმძლავრით (წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრი) გადაეცემა საექსპლოატაციოდ ჭოროხისა და ენგურის ხრეშისა და ქვიშის გადამმუშავებელი კარიერები, შეწყდეს პლაჟის მასალის მოპოვება მდინარე ჭოროხის შესართავსა და სოფ. გონიოს შორის და მდინარე ენგურსა და იმ უბანს შორის მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც განლაგებულია მდინარე ერისწყალის სამხრეთით 3 კილომეტრ მანძილზე.

8. ნება დაერთოს საავტომობილო გზების სამინისტროს დაამზადოს ინერტული და ქვის მასალები ყველა ნებადართულ ადგილზე, რომლებიც შავ ზღვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკვრიან, კარიერების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, იმ ანგარიშით, რომ დაცულ იქნეს ის პირობები, რომლებსაც ამ კარიერების მაექსპლოატირებელ ორგანიზაციებს უყენებენ.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 8 მაისი, № 257.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 8 მაისის № 257
დადგენილების დანართი

ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი

ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგებისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, რომელიც შავ ზღვას ეკვრის

რესპუბლიკის მშენებლობების ქვიშითა და ხრეშით მომარაგების დროებითი სიძნელის გამო, შესაძლებლად ჩაითვალოს ინერტული მასალების მოპოვება შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოს სსრ ფარგლებში და იმ მდინარეების ჭალებში, რომლებიც ზღვას ერთვიან, ვადით 1972 წლამდე, შემდეგ უბნებზე:

აფხაზეთის ასსრ

მდინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირის ნარწყულზედა ტერასიდან რკინიგზის ხიდის ქვემოთ იმ საზღვრების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ღორღის ქარხნის დამუშავების პროექტით;

წყურგილის მექანიზებული კარიერიდან წელიწადში 400 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსათვის;

მიუსერის კონგლომერატების საბადოდან განსაზღვრული რაოდენობით — ზღვის ნაპირის გამაგრების და ტრესტ „ბიჭვინთმშენის" საჭიროებისათვის, იმ პირობით თუ კარიერის დამუშავების პროექტი შეთანხმებული იქნება სახმშენთან და „საქსახწყალრესურსების" სახელმწიფო კომიტეტთან;

მდინარე ბელაიას, ააპსტის, მაჭარას, კოდორის, ტამიშის, მოქვის, გალიზგისა და ოქუმის მკვდარი უძრავი მთელანების ნარწყულზედა კალაპოტიანი ტერასებიდან გზატკეცილების ზემოთ, განსაზღვრული რაოდენობით — ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საჭიროებისათვის;

მდინარე გუმისტის მარჯვენა ნარწყულზედა ტერასიდან — მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტისა და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის;

ზღვის სანაპირო ზოლიდან მდინარე მოქვის შესართავსა და ოჩამჩირის ნავსადგურს შორის — ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებისათვის;

პლაჟების მონატანებიდან მდინარე ენგურსა და მდინარე ერისწყლის სამხრეთით 3 კილომეტრზე მდებარე უბანს შორის არსებულ ტერიტორიაზე წელიწადში 150 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით და ზღვის ქვიშისა ზღვის ფსკერიდან მდინარე მოქვის შესართავსა და ოჩამჩირის ნავსადგურს შორის, წელიწადში 40 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით — სოხუმის საზღვაო ნავსადგურისათვის იმ პირობით, თუ გატარდება შემდგომი მეცნიერული გამოკვლევები კოდორი — ოჩამჩირის ნავსადგურის უბანზე იმ მიზნით, რომ დადგინდეს შესაძლო ამოღების მოცულობა ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს ზღვის ნაპირის მდგრადობას.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასს რესპუბლიკაში

მდინარე ჭოროხის ჭალიდან — საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ინერტული მასალების მექანიზებული ქარხნისათვის წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრის მოცულობით.

ზღვის ნაპირზე მდინარე ჭოროხის შესართავიდან სოფ. გონიომდე — არა უმეტეს 100 ათასი კუბური მეტრისა წელიწადში — ბათუმის საზღვაო ნავსადგურისათვის;

მდინარე აჭარის წყლის ჭალიდან წელიწადში 100 ათასი კუბური მეტრი მოცულობით;

მდინარე რიონის რაიონში — გადაგდება — განუსაზღვრელი რაოდენობით;

მდინარე ენგურის ჭალაში ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის ფარგლებში — წელიწადში 1000 ათასი კუბური მეტრის მოცულობით;

მდინარე ენგურის ჭალაში რკინიგზის ხიდის ზემოთ — ენგურჰესის მშენებლობისა და ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებისათვის, 1000 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

57 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 13 მაისი, № 263.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 მაისის № 263
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი და ამოცანები

საკონტროლო-სარევიზორო სამსახური, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წესდების შესაბამისად, კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმას, რომ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტი) საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაიცვან წესდების მოთხოვნები, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციებისა.

II. საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის უფლება-მოვალეობანი

1. საკონტროლო-სარევიზორო სამსახური:

ა) კონტროლს გაუწევს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის წესების, აგრეთვე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით გათვალისწინებული სხვა წესების, დებულებებისა და ინსტრუქციების დაცვას;

ბ) კონტროლს გაუწევს ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების და აღნიშნული ტარიფების გამოყენების წესების დაცვას;

გ) კონტროლს გაუწევს სასაქონლო-სატრანსპორტო და სხვა საბუთების სწორად გაფორმებას, რომლებიც დაწესებულია საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვისათვის;

დ) შეამოწმებს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების, აგრეთვე უკან დაბრუნებული ცარიელი სატვირთო ავტომობილების დატვირთვის წესების დაცვას;

ე) აწარმოებს ბრძოლას საავტომობილო ტრანსპორტზე მომხდარ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ (ფულადი ამონაგების მითვისება, სამუშაოთა შეუსრულებელი მოცულობის წამატება, საავტომობილო ბენზინის დატაცება, უბილეთო მგზავრობა, ბარგის უფასოდ გატანა და ა. შ.);

ვ) შეამოწმებს საბილეთო სალაროებში საბილეთო მეურნეობის მდგომარეობას, ბილეთებისა და გამოსაღების ქვითრების შენახვის, აღრიცხვისა და ხარჯვის სისწორეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეამოწმებს ნაგებობათა და მოწყობილობათა მდგომარეობას ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა მომსახურების ორგანიზაციისათვის;

ზ) სისტემატურ კონტროლს გაუწევს იმას, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამმართველოებმა, ტრესტებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ მთავრობის გადაწყვეტილებანი, სამინისტროს ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებანი საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე და მიიღებს ზომებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის;

თ) მოახდენს დოკუმენტურ რევიზიებს სამინისტროს სისტემაში იმისათვის, რომ:

— გამოავლინოს გამოუყენებელი რეზერვები მეურნეობაში, აწარმოოს ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების, სახელმწიფო სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში ბოროტმოქმედების წინააღმდეგ;

— გამოარკვიოს საწარმოო გეგმის, დაგროვების გეგმის და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები და ხელი შეუწყოს ავტომეურნეობების, ქარხნებისა და სამეურნეო ორგანიზაციების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესებას.

2. საკონტროლო-სარევიზორო სამსახური დოკუმენტური რევიზიების მოხდენის დროს შეამოწმებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ სამმართველოებში, ტრესტებში, აგრეთვე ავტომეურნეობებში:

— საკასო ოპერაციებს;

— საბანკო ოპერაციებს;

— საქვეანგარიშო თანხების ოპერაციებს;

— ხელფასის ფონდის ხარჯვას;

— სასაწყობო მეურნეობას და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს;

— საწარმოო საქმიანობას;

— ადმინისტრაციულ-სამმართველო, საერთო-საწარმოო და საამქრო ხარჯებს.

— სხვადასხვა ფონდების შექმნის სისწორეს;

— საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციებს;

— ბალანსის რეზულტატურ ანგარიშებს;

— საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას.

3. საკონტროლო-სარევიზორო სამსახური:

ა) განაზოგადებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის და უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შემოწმების მასალებს და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების მოთხოვნების დარღვევის, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტზე მომხდარი ბოროტმოქმედების ფაქტებს აცნობებს შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზოგადებული მასალები საჭიროების შემთხვევებში მოხსენდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მეშვეობით;

ბ) შეიმუშავებს ინსტრუქციებს, მეთოდურ მითითებებს კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, აგრეთვე თანამდებობრივ ინსტრუქციებს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის მუშაკებისათვის და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს ხელმძღვანელობას;

გ) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარებას;

დ) მონაწილეობას მიიღებინებს საკონტროლო-სარევიზორო მუშაობაში, სამინისტროს ხელმძღვანელობის ნებართვით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების ავტოსატრანსპორტო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით — ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს;

ე) განიხილავს მშრომელთა წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობის წესების დაცვის, მგზავრთა გადაყვანისა და ბარგისა და ტვირთის გადატანისათვის საფასურის არასწორად გადახდევინების, ბილეთების არასწორად გაცემის საკითხებზე, აგრეთვე საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს;

ვ) განიხილავს შემოსულ წინადადებებს, რომლებიც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას და კონტროლის გამარტივებას და შეიტანს რეკომენდაციებს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობის განსახილველად.

4. საკონტროლო-სარევიზორო სამსახურს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების ფარგლებში საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის და უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა შემოწმება;

ბ) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებიდან გამომდინარე მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში აძლიოს სავალდებულო მითითებანი დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

გ) მოაწყოს ფართო პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის მონაწილეობით საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის საზოგადოებრივი კონტროლი;

დ) აწარმოოს ავტომობილების შემოწმება ხაზზე და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდების დარღვევის, აგრეთვე ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის შემთხვევებში შეადგინოს აქტები, პატაკები და სხვა დოკუმენტები, გააკეთოს ჩანაწერები საგზურებსა და საბილეთო-სააღრიცხვო ფურცლებში, საჭიროების დროს ჩამოართვას საგზურები და საბილეთო-სააღრიცხვო ფურცლები, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში — მოხსნას ხაზიდან ავტობუსები, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები;

1989

ეროვნული ბიბლიოთეკა № 3

ე) დადგენილი წესით დაადოს ჯარიმა სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის.

5. საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის მუშაკები მოვალენი არიან თავიანთ მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით.

III. საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა

1. საკონტროლო-სარევიზორო სამსახური შედგება საკონტროლო-სარევიზორო სამმართველოსაგან, რომელსაც აქვს სამი განყოფილება:

ა) სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შემოწმების სახაზო კონტროლის განყოფილება;

ბ) შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტური რევიზიების განყოფილება;

გ) მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორის განყოფილება, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტრესტების სახაზო კონტროლის განყოფილებები და ტრესტებისა და სამმართველოების რევიზორ-ბუღალტრების ჯგუფები.

2. საკონტროლო-სარევიზორო სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი.

საკონტროლო-სარევიზორო სამმართველოს ყველა მუშაკს დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

IV. საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი

1. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან 10 დღის ვადაში მიიღონ ზომები საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის მიერ გამოვლინებული დარღვევების აღმოსაფხვრელად და კანონით დადგენილი წესით დასაჯონ დამნაშავე პირები.

საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა ხელმძღვანელებს, თუ ისინი არ ეთანხმებიან საკონტროლო-სარევიზორო სამსახურის მიერ შედგენილ საბუთებს უფლება აქვთ არ მიიღონ ზომები გამოვლინებული დარღვევების გამო მანამ, ვიდრე საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო არ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას, და 7 დღის განმავლობაში წარუდგინონ ამ საკითხზე საწინააღმდეგო აზრი საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58 დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო გასამრჯელოს შესახებ

დრამატულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორების შრომის ანაზღაურების არსებული სისტემის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების — ორიგინალური პიესების, ინსცენირებების, ოპერების, ბალეტების, მუსიკალური კომედიების, საკონცერტო და საცირკო პროგრამების, აგრეთვე აღნიშნულ ნაწარმოებთა ერთი ენიდან მეორეზე თარგმანების საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) ნორმები, № 1 დანართის თანახმად.

საავტორო გასამრჯელოს დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან აღნიშნულ ნაწარმოებთა საჯარო შესრულების დროს.

2. დამტკიცდეს საჯაროდ შესასრულებელი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შექმნის შეკვეთების შესრულებისათვის ან გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების პირველი საჯარო შესრულების უფლებისათვის ერთდროული საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) განაკვეთები, № 2 დანართის თანახმად.

დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორებს უფლება აქვთ დადონ ხელშეკრულებანი ნაწარმოებთა შეკვეთით შესრულების შესახებ მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან (ორგანიზაციასთან) და მიიღონ გასამრჯელო მოცემული ნაწარმოებისათვის მხოლოდ ერთ დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში.

დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, რომლებიც ნაწარმოებებს იძენენ, უფლება აქვთ გამოიყენონ ისინი ფართო საჯარო შესრულებისათვის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით გადასაცემად ისე, რომ ავტორს არ მიეცეს განსაკუთრებული დამატებითი გასამრჯელო ნაწარმოების დადგმის უფლებისათვის. ყველა სხვა სახეობის საავტორო გასამრჯელო, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით (პროცენტული ანარიცხები საჯარო შესრულებისათვის, ჰონორარი გამოცემისათვის), ძალაში რჩება.

3. დამტკიცდეს მუსიკალურ და მუსიკალურ-ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) განაკვეთები, № 3 დანართის თანახმად.

4. დაწესდეს, რომ საავტორო გასამრჯელო მიეცემა დრამატურგთა, კომპოზიტორთა, ინსცენირებების შემდგენთა და მთარგმნელთა მემკვიდრეებს ავტორების სიკვდილის შემდეგ გასამრჯელოს იმ თანხის 50 პროცენტის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების №№ 1, 2 და 3 დანართებით, საავტორო უფლების შესახებ არსებული კანონმდებლობით დაწესებულ ვადებში.

5. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია ამ დადგენილების გამოყენების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილება „დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“ დანართებიანად;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 სექტემბრის № 644 დადგენილება „დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამატების თაობაზე“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 იანვრის № 10 დადგენილება „მოზარდ მაყურებელთა თეატრებისა და თოჯინების თეატრებისათვის მრავალაქტიანი პიესების საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1970 წ. 13 მაისი, № 264.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 მაისის № 264
დადგენილების დანართი № 1

ნ ო რ მ ე ბ ი

დრამატულ, მუსიკალურ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებთა საჯარო შესრულების საავტორო გასამრჯელოსი

ნაწარმოებთა სახეობანი	ნორმები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებნი	ერთაქტიანი ნაწარმოებნი
I. ორიგინალური დრამატული ნაწარმოებნი		
საბჭოთა ავტორის პიესა ქართულ ენაზე:		
პროზად	9.0	2,5
ლექსად	10.0	3,0
საბჭოთა ავტორის პიესა, საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე:		
პროზად	9,0	2,5
ლექსად	10.0	3,0
საბჭოთა ავტორის პიესა რუსულ ენაზე:		
პროზად	4.0	1,5
ლექსად	5.0	2.0
საბჭოთა ავტორის პიესა სსრ კავშირის ხალხთა ენებზე (გარდა რუსულისა):		
პროზად	6,0	2,0
ლექსად	7.0	2,5
II. ინსცენირებანი		
ა) ისეთ ნაწარმოებთა ინსცენირებანი, რომლებსაც არ იცავს საავტორო უფლება:		
პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე (ინსცენირების ავტორს)	4.0	1,5
პიესა-ინსცენირება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე (ინსცენირების ავტორს)	4,0	1.5
პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე (ინსცენირების ავტორს)	1,5	1,0
პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ენებზე (გარდა რუსულისა)	3,0	1,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	ნორმები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებნი	ერთაქტიანი ნაწარმოებნი
ბ) იმ ნაწარმოებთა ინსცენირებანი, რომლებსაც საავტორო უფლება იცავს:		
პიესა-ინსცენირება ქართულ ენაზე	6.0	2,0
აქედან:		
ნაწარმოების ავტორს	2,0	0.5
ინსცენირების ავტორს	4.0	1,5
პიესა-ინსცენირება რუსულ ენაზე	3.0	1.0
აქედან:		
ნაწარმოების ავტორს	1.5	0.5
ინსცენირების ავტორს	1,5	0.5
პიესა-ინსცენირება საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე	6,0	2,0
აქედან:		
ნაწარმოების ავტორს	2,0	0,5
ინსცენირების ავტორს	4.0	1,5
პიესა-ინსცენირება სსრ კავშირის ხალხთა ერთერთ ენაზე (გარდა რუსულისა)	4,0	1,5
აქედან:		
ნაწარმოების ავტორს	1.5	0,5
ინსცენირების ავტორს	2,5	1.0
III. ნათარგმნი დრამატული ნაწარმოებები		
ა) ისეთი პიესების თარგმნა, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს:		
უცხოური პიესის თარგმნა ქართულ ენაზე (მთარგმნელს)		
პროზად	3,0	1,0
ლექსად	4,0	1,5
პიესის თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე, აგრეთვე პიესის თარგმნა რუსულ ენაზე (მთარგმნელს)		
პროზად	3,0	1,0
ლექსად	4,0	1.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	ნორმები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებნი	ერთაქტიანი ნაწარმოებნი
ბ) ისეთი პიესების თარგმნა, რომლებსაც საავტორო უფლება იცავს:		
პიესის თარგმნა სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე, ავრეთვე პიესის თარგმნა რუსულ ენაზე		
პროზად	4,0	1,5
ლექსად	5,5	2,0
აქედან:		
პროზად — ნაწარმოების ავტორს	1,0	0,5
მთარგმნელს	3,0	1,0
ლექსად — ნაწარმოების ავტორს	1,5	0,5
მთარგმნელს	4,0	1,5
IV. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებნი		
1. ოპერა ქართულ ენაზე	12,0	4,0
აქედან: კომპოზიტორს	8,5	3,0
ლიბრეტოს ავტორს	3,5	1,0
2. ოპერა რუსულ ენაზე	8,0	3,0
აქედან: კომპოზიტორს	5,5	2,0
ლიბრეტოს ავტორს	2,5	1,0
3. ოპერა, როდესაც ლიბრეტო სსრ კავშირის ხალხთა ერთერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ითარგმნება ქართულ ენაზე	8,0	3,5
აქედან: კომპოზიტორს	4,0	1,5
ლიბრეტოს ავტორს	2,0	1,0
ლიბრეტოს მთარგმნელს . .	2,0	1,0
4. ოპერის ლიბრეტოს თარგმნა უცხო ენიდან ქართულ ენაზე:		
მთარგმნელს	2,0	0,5
5. ბალეტი	11,0	3,0
აქედან: კომპოზიტორს	8,5	2,0
ლიბრეტოს ავტორს	2,5	1,0
6. ოპერეტა ქართულ ენაზე	9,0	2,5
აქედან: კომპოზიტორს	4,5	1,25
ლიბრეტოს ავტორს	4,5	1,25
7. ოპერეტა რუსულ ენაზე	6,0	2,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	ნორმები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებნი	ერთაქტიანი ნაწარმოებნი
აქედან: კომპოზიტორს	3,0	1,2
ლიბრეტოს ავტორს . . .	3,0	1,2
8. ოპერეტა, როდესაც ლიბრეტო სსრკ ხალხთა ერთი ენიდან (რუსულის ჩათვლით) ითარგმნება ქართულ ენაზე	8,0	2,5
აქედან: კომპოზიტორს	3,0	1,5
ლიბრეტოს ავტორს . . .	2,5	0,5
ლიბრეტოს მთარგმნელს . .	2,5	0,5
9. ოპერეტის (მუსიკალური კომედიის) ლიბრეტოს თარგმნა უცხო ენიდან ქართულ ენაზე მთარგმნელს	2,0	0,5
10. ორიგინალური მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება მრავალაქტიანი დრამატული ნაწარმოები ყველა აქტში, — მთელი სპექტაკლისათვის	2,0	
11. ორიგინალური მუსიკა, რომლის აკომპანემენტით სრულდება დრამატული ნაწარმოები არა ყველა აქტში, — ყოველი აქტისათვის . . .	0,5	
V. ხაკონცერტო, საესტრადო, საცირკო პროგრამები		
1. კონცერტი სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებებისაგან	5,0	მთელი პროგრამისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	ნორმები საავტორო გასამრჯელოსი, რასაც დაარიცხავენ თეატრალურ-სანახაობითი საწარმოები მთლიანი შემოსავლის იმ თანხების პროცენტულად, რომლებიც შემოდის ბილეთების გაყიდვისაგან ერთი ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის	
	მრავალაქტიანი ნაწარმოებნი	ერთაქტიანი ნაწარმოებნი
2. სხვა კონცერტები, მათ შორის საესტრადოც	3,0	მთელი პროგრამისათვის
3. საცირკო პროგრამა რუსულ და ქართულ ენაზე	0,5	მთელი პროგრამისათვის
4. საცირკო პროგრამაში პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის შესრულება, რომლებსაც უჭირავთ არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა .	0,5	ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დარიცხვისა ამ დანართის V კარის მე-3 პუნქტისა
5. ისეთი სიუჟეტური ატრაქციონის შესრულება საცირკო პროგრამაში, რომელსაც უჭირავს არანაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა .	0,25	ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ კარის მე-3 პუნქტის მიხედვით .
6. შესრულება ორიგინალური მუსიკისა, რაც სპეციალურად დაწერილია საცირკო პანტომიმის, ფეერიის, ბალეტის და ისეთი სიუჟეტური ატრაქციონის საკომპანემენტოდ, რომელსაც უკავია არა ნაკლებ ერთი დამოუკიდებელი განყოფილებისა . . .	0,25	ყოველი განყოფილებისათვის, დამოუკიდებლად დანარიცხებისა ამ კარის მე-3, 4 და 5 პუნქტების მიხედვით
7. მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება კინოთეატრებში, კაფეებსა და რესტორნებში, აგრეთვე საცეკვაო მოედნებზე (გარდა მექანიკური ჩანაწერისა)	5,0	შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან
8. თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენები და კონცერტები, რომლებიც მასობრივ არენებზე ეწყობა	0,5	მთლიანი შემოსავლიდან
9. წარმოდგენები „ბალეტი ყინულზე“	1,0	მთელი სპექტაკლისათვის
10. საესტრადო წარმოდგენები გამჭოლი სიუჟეტებით	6,0	მთელი პროგრამისათვის
11. საესტრადო წარმოდგენები გამჭოლი სიუჟეტით მასობრივ არენაზე (სტადიონები, სპორტის სასახლე და სხვ.) .	1,0	მთელი პროგრამისათვის

შენიშვნა: ნაწარმოებებს გამჭოლი სიუჟეტიანი საესტრადო წარმოდგენის ჟანრს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 მაისის № 264
დადგენილების დანართი № 2

განაკვეთები

ერთდროული საავტორო გასამრჯელოსი დრამატულ, მუსიკალურ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებებზე მიცემული შეკვეთების შესრულებისათვის საჯარო შესასრულებლად ან გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების პირველი საჯარო შესრულების უფლებისათვის

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო ჰონორარის განაკვეთები (მანეთობით)			
	1	2	3	4
I. დრამატული ნაწარმოებები				
1. მრავალაქტიანი პიესები:				
პროზად	800	1500	2200	3000
ლექსად	1500	2000	3000	4000
2. ერთაქტიანი პიესები:				
პროზად	300	500	700	1000
ლექსად	500	800	1100	1500
3. მრავალაქტიანი პიესები მოზარდ მაყურებელთა თეატრებისათვის:				
პროზად	1040	1950	2860	3900
ლექსად	1950	2600	3900	5200
4. პიესები თოჯინების თეატრებისათვის:				
პროზად	450	750	1050	1500
ლექსად	750	1200	1650	2250
5. მრავალაქტიანი ინსცენირებანი.	200	500	1000	1500
6. ერთაქტიანი ინსცენირებანი	100	200	350	500
7. მრავალაქტიანი პიესების თარგმნა:				
პროზად	200	300	500	800
ლექსად	200	500	800	1000
8. ერთაქტიანი პიესების თარგმნა				
პროზად	50	100	200	300
ლექსად	100	200	350	500
II. მუსიკალური ნაწარმოებები				
1. ოპერა	3000	4500	6000	8000
2. ბალეტი	2000	3000	4000	5000
3. ოპერეტა, მუსიკალური კომედია	1200	2000	3000	4000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო ჰონორარის განაკვეთები (მანეთობით)			
	1	2	3	4
4. ორატორია	1200	1800	2400	3000
5. სიმფონია	1500	2000	3000	4000
6. კანტატა	800	1200	1600	2000
7. დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოებები (პოემა და სხვ.)	1000	1500	2000	2500
8. კონცერტი ორკესტრით	800	1000	1500	2000
9. სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის	500	600	800	1000
10. უვერტიურა სიმფონიური ორკესტრისათვის და სხვა არაციკლური დიდი ნაწარმოებები	200	400	600	800
11. მცირე ერთნაწილიანი ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრისათვის	100	150	250	300
12. რომანსები ხმისათვის ორკესტრით	75	150	200	250
13. ციკლური ნაწარმოებები საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრებისა და სხვა ორკესტრებისათვის	150	350	500	700
14. მარშები სასულე ორკესტრებისათვის	50	150	250	300
15. ცეკვები და მცირე პიესები საესტრადო ორკესტრებისათვის, ხალხური ინსტრუმენტების, ორკესტრებისა და სხვა ორკესტრებისათვის	50	100	150	250
16. დიდი ფორმის კამერული ანსამბლები (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სონატები)	500	800	1200	1500
17. სიუიტები კამერული ანსამბლებისათვის	200	350	550	750
18. მცირე კამერული ნაწარმოებები (პრელუდიები, ნოქტიურნები და სხვა)	30	70	120	150
19. დიდი ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ	100	500	800	1200
20. მცირე ფორმების ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ	50	150	200	300
21. დიდი საგუნდო ნაწარმოებები ინსტრუმენტული აკომპანემენტით	100	300	500	800
22. მცირე ფორმების ნაწარმოებები გუნდისათვის უაკომპანემენტოდ	50	100	200	250
23. რომანსები, ბალადები,	50	100	150	200
24. სიმღერები	40	70	100	150
25. ორიგინალური მუსიკა თეატრალურ-დრამატული დადგმებისათვის	100	200	400	700

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო ჰონორარის განაკვეთები (მანეთობით)			
	1	2	3	4
III. მუსიკასთან დაკავშირებული ლიტერატურული ნაწარმოებები				
1. ოპერის ლიბრეტო	800	1500	2000	2500
2. ოპერეტის ლიბრეტო	500	1000	1500	2500
3. ბალეტის ლიბრეტო	300	500	700	800
4. ორატორიის ლიბრეტო	100	250	350	500
5. პოემისა და კანტატის ტექსტი	75	150	250	350
IV. ნაწარმოებები ესტრადისა და ცირკისათვის				
1. სკეტჩი, დრამატული ეტიუდები	75	100	150	200
2. ფელეტონები, მინიატურები, ინტერმედიები, კონფერანსები (გამჭოლი)	50	100	150	200
3. მოთხრობები, ნოველები, მონოლოგები	50	100	150	200
4. ტექსტები სიმღერებისათვის	35	60	80	100
5. კუპლეტები და შაირები (ოთხტაეპიანი ლექსისათვის)	35	75	100	150
6. მუსიკა კუპლეტებისა და შაირებისათვის	25	35	40	50
7. საესტრადო ნომრების მონტაჟები, კომპოზიციები და ლიტერატურული გაფორმება	40	55	70	100
8. შესავალი მონოლოგი წამყვანისათვის	30	50	70	100
9. პროლოგი და ფინალი, რომლებიც განკუთვნილია კოლექტივის შესასრულებლად	90	100	110	120
10. მოკლე დიალოგი (ინტერმედია)	10	20	30	40
11. მოკლე გალექსილი ტექსტი	10	25	40	50
12. რაიოკი	50	60	70	80
13. ანტრეს ლიტერატურული გადამუშავება	40	50	60	80
14. კლოუნის ანტრე	80	120	150	200
15. ცალკე რეპრიზი	30	40	60	80
16. პანტომიმა, სიუჟეტური საცირკო წარმოდგენა (ლიბრეტო და ტექსტი)	450	600	800	1000
17. საცირკო ნომრის სცენარები (ახალი ორიგინალური ნომრის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება)	100	150	250	300
18. საცირკო ატრაქციონის სცენარები ახალი ორიგინალური ატრაქციონის სიუჟეტური, სატრიუკო და ტექნიკური დამუშავება	200	300	600	800
19. მუსიკალური შესავალი, ანტრაქტი საცირკო ან საესტრადო წარმოდგენისათვის	30	50	100	200
20. მარში, გალოპი, ვალსი, პოლონური, ინტერმეცო, რომანსი და სხვა მცირე პიესები	50	100	150	250

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	საავტორო ჰონორარის განაკვეთები (მანეთობით)			
	1	2	3	4
21. მცირე მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც განკუთვნილია საცირკო ან საესტრადო ნომრის აკომპანემენტისათვის	10	20	35	50
22. საცირკო ან საესტრადო ნომრის მუსიკალურ-კომპილაციური გაფორმება	10	20	30	40
23. სიუჟეტური საესტრადო წარმოდგენების სცენარები და ტექსტები	500	800	1000	1500

შენიშვნა: 1. ხალხური სიმღერების დამუშავება ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე.

2. ინსტრუმენტული გადმოღება (თავისუფალი) ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 25-დან 50 პროცენტამდე;

3. ინსტრუმენტული გადმოღება (მარტივი) ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთის 15-დან 25 პროცენტამდე.

4. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, ბალეტის, მუსიკის ანაზღაურება წარმოებს სრული განაკვეთების 25-დან 40 პროცენტამდე ნაწარმოების მნიშვნელობის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 მაისის № 264
დადგენილების დანართი № 3

განაკვეთები

საავტორო გასამრჯელოსი მუსიკალური და მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოებების გამოცემისათვის

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთის ოდენობა (მანეთობით)		ტირაჟი (ცალი)
I. ოპერის, ბალეტის, მუსიკალური კომედიის მუსიკისათვის (კლავირი ან პარტიტურა)			
1. ოპერა	1200 2400	1800 3000	5000 კლავირი 500 პარტიტურა
2. ბალეტი	800 1600	1200 2000	3000 კლავირი 500 პარტიტურა
3. მუსიკალური კომედია, ოპერეტა	700 1200	900 1500	5000 კლავირი 500 პარტიტურა
4. ერთაქტიანი ოპერა, მუსიკალური კომედია, ბალეტი	200 600	400 800	5000 კლავირი 500 პარტიტურა
II. ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრებისათვის (კლავირი ან პარტიტურა)			
5. სიმფონია	800 1000	900 1200	2000 კლავირი 500 პარტიტურა
6. ორატორია	600 800	700 —	2000 კლავირი 500 პარტიტურა
7. კანტატა	400 500	450 600	2000 კლავირი 500 პარტიტურა
8. კონცერტი ორკესტრით, კონცერტი ორკესტრისათვის, დიდი პროგრამული სიმფონიური ნაწარმოები (პოემა)	600 850	700 1000	2000 კლავირი 500 პარტიტურა
9. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, რაფსოდია და სხვა ანალოგიური სიმფონიური ნაწარმოებები	300 500	400 600	3000 კლავირი 1000 პარტიტურა
10. მცირე სიმფონიური ნაწარმოებები (მარში, ცეკვა, და სხვ.)	150 250	200 350	6000 კლავირი 3000 პარტიტურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთის ოდენობა (მანეთობით)		ტირაჟი (ცალი)
III. ნაწარმოებები ხალხური ინსტრუმენტებისა და სასულე ორკესტრებისათვის			
11. კონცერტი ორკესტრით, სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია, პოპური და სხვა	300 400	350 500	3000 პარტიტურა
12. მცირე ფორმის ნაწარმოებები (მარში, ცეკვა და სხვ.)	75 120	100 150	10000 პარტიტურა
IV. ნაწარმოებები საესტრადო ორკესტრებისა და საკონცერტო ანსამბლებისათვის			
13. სიუიტა, უვერტიურა, ფანტაზია	200 350	250 400	3000 პარტიტურა
14. მცირე პიესები (მარშები, ცეკვები და სხვა)	75 120	100 150	10000 პარტიტურა

შენიშვნა: ამ დანართის III და IV კარებით გათვალისწინებული ნაწარმოებნი წარდგენილი იქნება პარტიტურებად. კლავირის წარდგენის შემთხვევაში ანაზღაურება იწარმოებს პარტიტურის ღირებულების 40 პროცენტამდე.

V. კამერული ნაწარმოებები

15. კვინტეტი, კვარტეტი, ტრიო და სხვა ანსამბლები, სოლოს ან ანსამბლის სონატა	300 450	350 500	1000 პარტიტურა
16. სიუიტა, კამერული ანსამბლისათვის, ვარიაციები, სკერცო და სხვა	150 250	200 300	1500 პარტიტურ.
17. მცირე ნაწარმოებნი ცალკეული ინსტრუმენტებისათვის (ნოქტიურნი, პრელუდიები, ეტიუდები, ცეკვა და სხვა:			
ა) საკონცერტო შესრულებისათვის	50 90	70 —	3000
ბ) პედაგოგიური	20 70	40 90	10000, ხოლო სწავლების პირველი საფეხურისათვის — 50000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთის ოდენობა (მანეთობით)		ტირაჟი (ცალი)
VI. ვოკალური ნაწარმოებები			
18. მრავალნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანიმენტის გარეშე	400 600	500 800	2000
19. ერთნაწილიანი ნაწარმოებნი გუნდისათვის ინსტრუმენტული აკომპანიმენტის გარეშე	100 160	130 200	10000
20. მრავალნაწილიანი საგუნდო ნაწარმოებები ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანიმენტით	300 500	400 600	3000
21. ერთნაწილიანი ნაწარმოებები გუნდისათვის ფორტეპიანოს, ბაიანის ან სხვა ინსტრუმენტების აკომპანიმენტით	75 125	100 150	15000
22. ვოკალური ანსამბლები აკომპანიმენტით და უაკომპანიმენტოდ (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და სხვა)	75 125	100 150	10000
23. მასობრივი ან საესტრადო სიმღერა ხმისათვის ან გუნდისათვის ფორტეპიანოს ან ბაიანის აკომპანიმენტით	50 80	60 100	25000 ფურცლები სიმღერათა კრებულებისათვის 50000
24. საკონცერტო ნაწარმოებები ხმისათვის ინსტრუმენტული აკომპანიმენტით (რომანსი, ბალადა, ვოკალიზი და სხვა).	50 90	70 110	5000
VII. მუსიკალურ-პედაგოგიური ნაწარმოებები			
25. მუსიკალური კრებულების შედგენა (საავტორო ფურცელში)	10 30	20 40	25000
26. თვითმასწავლებლებისა და სკოლების შედგენა (მთლიანად მთელი ნაწარმოებისათვის)	200 600	400 800	10000 სკოლებისათვის 60000 თვითმასწავლებლებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ორგინალურ ნაწარმოებად, როგორც წესი, მიიღება პარტიტურა, ხოლო კლავირი შეფასდება როგორც გადმოღება და ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებებისათვის დადგენილი შესაბამისი ჰონორარის 40 პროცენტამდე. ცალკეულ შემთხვევებში (ოპერის, ბალეტის, მუსიკალური კომედიის გამოცემის დროს) ორიგინალურ ნაწარმოებად შეიძლება მიღებულ იქნეს კლავირი. ამ შემთხვევაში გადმოღებად მიიღება პარტიტურა, რომელიც ანაზღაურდება ორიგინალური ნაწარმოებისათვის შესაბამისი ჰონორარის 40 პროცენტამდე.

2. საავტორო ფურცლის გამოანგარიშებისას 3.000 კვ. სანტიმეტრი ფართობი, რომელიც უკავია ილუსტრაციებს და ნოტის მაგალითებს, უთანაბრდება ერთ საავტორო ფურცელს, ილუსტრაციები და ნოტის მაგალითები, რომლებიც მოთავსებულია წიგნებში, ანაზღაურდება: ორიგინალური — ფურცელში განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით, ნასესხები — ფურცელში განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით.

3. ნაწარმოების განმეორებითი გამოცემანი ანაზღაურდება: მეორე — პირველი გამოცემის ჰონორარის განაკვეთის 60 პროცენტის, მესამე — 50 პროცენტის, მეოთხე — 40 პროცენტის, მეხუთე — 40 პროცენტის, მეექვსე და ყოველი შემდგომი გამოცემა — 30 პროცენტის ოდენობით.

ნაწარმოების გამოცემის რიგითი ნომრის გამორკვევისას მხედველობაში მიიღება ყველა წინანდელი გამოცემა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მიუხედავად მათი ტირაჟებისა და გამოსვლის დროისა.

4. როდესაც მუსიკალური ნაწარმოები გამოდის „ჯიბის პარტიტურის“ სახით, გამოცემის ტირაჟი დაწესდება 2000 ცალის რაოდენობით.

5. მუსიკის სახელმძღვანელოები და სასწავლო ხელსაწყოები, წიგნები მუსიკათმცოდნეობის, მუსიკის ისტორიისა და თეორიის შესახებ და სხვა ლიტერატურული შრომები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკასთან, ანაზღაურდება შესაბამისი ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა სახეობანი	განაკვეთის ოდენობა (ძანეთობით)		ტირაჟი (ცალი)
VIII. მუსიკალურ-ნაწარმოებთა ტექსტები			
27. ოპერის ლიბრეტო	400 600	500 800	ტირაჟები დაუწესდება შესაბამის სახეობათა მუსიკალურ ნაწარმოებებს
28. ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტო	300 500	400 600	იგივე
29. ერთაქტიანი ოპერის, ოპერეტის, მუსიკალური კომედიის ლიბრეტო	150 220	180 250	„
30. ორატორიის ლიბრეტო	200 400	300 500	„
31. კანტატის ლიბრეტო	100 220	150 300	„
32 სიმღერებისა და რომანსების გალექსილი ტექსტი	50 80	60 100	„

შენიშვნა: როდესაც ლიბრეტო გამოიცემა ცალკე ბროშურად, ტირაჟი დაწესდება 2500 ცალის რაოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 მაისის № 264
დადგენილებით

ინსტრუქცია

„დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების შეფარდების თაობაზე

I. შესავალი დებულებანი

1. საავტორო გასამრჯელო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით დაერიცხება დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების საჯარო შესრულებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

აღნიშნულ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო მიეცემათ ავტორებს მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს საქართველოს განყოფილების „საუდის" მეშვეობით, რომელიც ამასთან გამოდის როგორც ავტორების კანონიერი წარმომადგენელი.

2. საავტორო გასამრჯელო, რაც დარიცხულია ავტორთა მემკვიდრეების სასარგებლოდ დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების სსრ კავშირის ტერიტორიაზე საჯარო შესრულებისათვის, საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება მისცემს მემკვიდრეებს მათი საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში იმ თანხის 50 პროცენტის ოდენობით, რომელიც თვით ავტორს უნდა მისცემოდა. დარიცხულ და მემკვიდრეებისათვის მისაცემ თანხას შორის განსხვავებას სამმართველო გადასცემს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

3. ერთდროული საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 2 დანართით, ვრცელდება ყველა იმ ხელშეკრულებაზე, რომლებიც დადებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოუქვეყნებელი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შეკვეთის ან საჯარო შესრულების შესახებ.

4. მუსიკალურ-ლიტერატურული ნაწარმოებების გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 3 დანართით, ვრცელდება საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოსულ ყველა აღნიშნულ ნაწარმოებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკალურ ნაწარმოებთა ტექსტების გამოცემისათვის საავტორო გასამრ-ჯელოს განაკვეთები (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების № 3 დანართის კარი VIII) გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ნაწარმოებნი გამოიცემა მათთვის დაწერილ მუსიკასთან ერთად ან როგორც განმარტება სპექტაკლის ან კონცერტისათვის. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მუსიკალურ ნაწარმოებთა ტექსტების გამოცემის დროს შეფარდებულ იქნება ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები.

II. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს ნორმები

5. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო დაერიცხება საჯარო შესრულების ყველა შემთხვევაში მაყურებელთა როგორც ფასიან, ისე უფასო შესვლის დროს, გარდა:

ა) შესრულებისა, რომელიც ხორციელდება მუზეუმებში, ლექტორიუმებში, ბიბლიოთეკებში, ქოხ-სამკითხველოებში, სასოფლო კლუბებში, სოფლის კულტურის სახლებში, წითელ კუთხეებსა და სასწავლებლებში (გარდა სასწავლებელთა კლუბებისა) მაყურებლებისათვის ფასის გადაუხდევინებლად;

ბ) შესრულებისა, რომელიც ხორციელდება მაყურებლებისათვის ფასის გადაუხდევინებლად და შემსრულებლებისათვის ან შემსრულებელთა კოლექტივისათვის რაიმე გასამრჯელოს მიუცემლად;

გ) მუსიკის შესრულებისა საცეკვაო მოედნებზე შემსრულებლებისათვის გასამრჯელოს მიუცემლად ან მექანიკურად ჩაწერილი მუსიკის შესრულებისა.

6. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო დაერიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის შესაბამისად პროცენტულად:

ა) მთლიანი შემოსავლის თანხიდან — იმ შემთხვევებში, როდესაც ბილეთების გაყიდვის დროს მიღებული ამონაგები შედის გადამხდელის სალაროში;

ბ) გარანტირებული საზღაურის თანხიდან — იმ შემთხვევებში, როდესაც გადამხდელი ახორციელებს გამოსვლებს სხვა ორგანიზაციის (შემკვეთის) მოედანზე, სდებს რა შემკვეთთან ხელშეკრულებას არტისტთა გამოსვლების გარანტირებული ანაზღაურების შესახებ; გარანტირებული საზღაურის თანხა უთანაბრდება მთლიანი შემოსავლის თანხას;

გ) გასამრჯელოს (ხელფასის) თანხიდან, რაც დაერიცხათ შემსრულებლებს (5 პროცენტი) — იმ შემთხვევებში, როდესაც გადამხდელი არ ახდევინებს მაყურებლებს შესვლის საფასურს და არ იღებს ხელშეკრულებით გარანტირებულ საზღაურს, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მუსიკა სრულდება საცეკვაო მოედნებზე (გარდა ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისა).

7. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელო დაერიცხება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართში აღნიშნული სრული ნორმით როგორც ისეთ შემთხვევებში, როდესაც დარიცხული გასამრჯელოს მთელი თანხა ავტორებს უნდა მიეცეს, ისე იმ შემთხვევებშიც, როდესაც გასამრჯელოს ნაწილი არ უნდა გაეცეს (მაგალითად, საკონცერტო, საესტრადო ან საცირკო პროგრამა შედგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი ნაწარმოებებისაგან, რომლებიც დაცულია და არ არის დაცული საავტორო უფლებით; პიესა დაწერილია განუყოფელი თანაავტორობით და ერთერთი თანაავტორის უფლებები არ არის დაცული საავტორო უფლებით კანონით დადგენილი ვადის გასვლის გამო და ა. შ.).

გასამრჯელოს იმ თანხების გამოყოფას, რომლებიც არ უნდა მიეცეს ავტორებს ან მათ მემკვიდრეებს, აწარმოებს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საავტორო უფლებების დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველო და არა თვით გადამხდელი, გარდა ამ ინსტრუქციის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

შენიშვნა: საავტორო ჰონორარი დაერიცხება აგრეთვე საერთო საფუძვლებზე ყველა მუსიკალური კონცერტისათვის, რომლებიც მთლიანად შედგება ისეთი ნაწარმოებებისაგან, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს (გასამრჯელო კონცერტებში ისეთი მუსიკალური ნაწარმოებების შესრულებისათვის, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს, გადაეცემა სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 სექტემბრის № 1511 დადგენილების შესაბამისად).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 ივნისის № 6519გ განკარგულების შესაბამისად, საავტორო გასამრჯელო არ დაერიცხება ისეთი კონცერტებისათვის, რომლებიც მთლიანად შედგება ბოროდინის, ჩაიკოვსკის, ბალაკირევის, კიუის, მუსორგსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ტანეევის, ლიადოვის, არენსკის, სკრიაბინის, რუბინშტეინის, სეროვისა და კალინიკოვის ნაწარმოებებისაგან, რომლებიც აღიარებულია სახელმწიფოს კუთვნილებად.

8. ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც საავტორო უფლება არ იცავს, მიეკუთვნებიან:

ა) ხალხური შემოქმედების ნაწარმოებები;

ბ) იმ გარდაცვლილ ავტორთა ნაწარმოებები, რომელთა მემკვიდრეები არა ჩანან ან დაკარგეს საავტორო უფლება კანონით დაწესებული ვადის გასვლის გამო;

გ) უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები, თუ ეს ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ და ამასთან არ არიან დაცული საავტორო უფლებების ურთიერთდაცვის შესახებ დადებული შეთანხმებით.

9. მრავალაქტიან დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებებად ითვლებიან ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც აქვთ, როგორც წესი, სულ ცოტა სამი აქტი. ორაქტიანი ნაწარმოები ითვლება მრავალაქტიანად, თუ მას უკავია მთელი სპექტაკლი.

ნაწარმოები, რომელსაც არა აქვს აქტების რიცხვის აღნიშვნა, შეიძლება ჩაითვალოს მრავალაქტიანად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დასკვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. თუ სპექტაკლი შეიცავს რამდენიმე ერთაქტიან ან ერთაქტიან და მრავალაქტიან ნაწარმოებებს, გასამრჯელო დაერიცხება ცალკე თითოეული ნაწარმოებისათვის მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით.

თუ სპექტაკლი შეიცავს ერთაქტიან და ორაქტიან ნაწარმოებებს, გასამრჯელო ერთაქტიანი ნაწარმოებისათვის დაერიცხება მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით, ხოლო ორაქტიანისათვის — იმ განაკვეთის ორი მესამედის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი მრავალაქტიანი ნაწარმოებებისათვის.

თუ ერთაქტიანი ნაწარმოები სრულდება საკონცერტო პროგრამით, სადაც უკავია მთელი განყოფილება, ამ ნაწარმოებისათვის გასამრჯელო დაერიცხება მისთვის დაწესებული განაკვეთის მიხედვით და, ამის გარდა, დაერიცხება იმ განაკვეთის ნახევარი, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი საკონცერტო პროგრამისათვის.

თუ სპექტაკლი შეიცავს ორ ორაქტიან ნაწარმოებს, გასამრჯელო ყოველი ნაწარმოებისათვის დაერიცხება იმ განაკვეთის ნახევრის ოდენობით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი მრავალაქტიანი ნაწარმოებებისათვის.

11. ნაწარმოები ითვლება ლექსად დაწერილად, თუ სცენიდან წარმოთქმული ტექსტის ნახევარი მაინც გადმოცემულია ლექსის ფორმით (გარითმულ, თეთრ ან თავისუფალ ლექსად).

12. ნაწარმოებში აქტების რაოდენობა და გალექსილი ტექსტის მოცულობა განისაზღვრება იმ ეგზემპლარის მიხედვით, რომელიც ადასტურებს, რომ ნაწარმოები ნებადართულია საჯარო შესრულებისათვის.

13. ოპერებისა და ოპერეტების ლიბრეტოს უცხო ენიდან რუსულ ენაზე თარგმნისათვის გასამრჯელო დაერიცხება იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის IV კარის 4 და 9 პუნქტებით.

14. თუ ნაწარმოები შექმნილია ავტორის მიერ ორ ან რამდენიმე ენაზე და არა აქვს გაკეთებული შენიშვნა, თუ რომელი ტექსტია ორიგინალი და რომელი — თარგმნილი, იგი ჩაითვლება ორიგინალად ყოველ ამ ენაზე.

15. პიესა-ინსცენირებებს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი პიესები, რომლებიც დაწერილია სხვა ნაწარმოებების, მათ შორის ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების მოტივებით.

შენიშვნა: პიესები, რომლებიც დაწერილია ბავშვებისათვის ხალხური ზღაპრების მოტივებით, უთანაბრდება ორიგინალურ ნაწარმოებებს. საბავშვო პიესები, დაწერილი ლიტერატურული ზღაპრების მოტივებით, რომლებიც არ არიან დაცული საავტორო უფლებით, ორიგინალურ ნაწარმოებებს გაუთანაბრდება მხოლოდ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დასკვნის თანახმად. საკუთარ ნაწარმოებთა მოტივებით დაწერილი პიესები უთანაბრდება ორიგინალურს, თუ ინსცენირება გაკეთებულია უთანაავტორებოდ.

16. ისეთი პიესა-ინსცენირების თარგმნის დროს, რომელსაც საავტორო უფლება იცავს, თარგმნილი ნაწარმოების ავტორისათვის დარიცხული ჰონორარი გაიყოფა ინსცენირებული ნაწარმოების ავტორსა და ინსცენირების ავტორს შორის იმავე თანაფარდობით, როგორითაც მათ შორის იყოფა გასამრჯელო ინსცენირებისათვის მისი ორიგინალად შესრულების დროს, თუ ინსცენირებული ნაწარმოები არ არის დაცული საავტორო უფლებით, მისი ავტორის წილი განისაზღვრება ისე, თითქოს ამ ნაწარმოებს იცავდეს საავტორო უფლება, და გასამრჯელოს თანხას, რაც ამ წილს შეადგენს, საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება გადასცემს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

17. თუ პიესის თარგმანი ქართულ ენაზე და საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნულ ენაზე განხორციელებულია არა ორიგინალიდან, არამედ სხვა, საშუალედო თარგმანიდან, საშუალედო თარგმანის ავტორს გასამრჯელო არ მიეცემა.

18. საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შესრულებისათვის (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის კარი IV) გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ნაწარმოები იდგმება საკონცერტო შესრულებით.

19. თუ ოპერის, ბალეტის ან ოპერეტის მუსიკა დაცულია საავტორო უფლებით, ხოლო ლიბრეტო არ არის დაცული ან პირიქით, საავტორო გასამრჯელო დაერიცხება მხოლოდ იმ ნაწარმოებს (მუსიკას ან ლიბრეტოს), რომელსაც საავტორო უფლება იცავს.

20. თუ ოპერის, ბალეტის ან ოპერეტის ლიბრეტო დაწერილია საავტორო უფლებით დაცული სხვა ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე, ამ ნაწარმოების ავტორს გამოეყოფა: ოპერის ან ბალეტის შესრულებისათვის — ლიბრეტოს ავტორისათვის დაწესებული გასამრჯელოს ნორმის ერთი მეოთხედი, ხოლო ოპერეტის შესრულებისათვის — ერთი მესამედი, თუ ის ნაწარმოები, რომლის საფუძველზე დაწერილია ლიბრეტო, არ არის დაცული საავტორო უფლებით, გასამრჯელოს წილს, რომელიც ამ ნაწარმოების ავტორს უნდა მისცემოდა, საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება გადასცემს საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში.

21. ოპერეტების ლიბრეტოს ვარიანტები და ახალი ქვეტექსტები უცხოელ კომპოზიტორთა მუსიკით უთანაბრდება თარგმანებს (№ 1 დანართის IV კარის პუნქტი 9).

22. ოპერეტისათვის, რომელიც დრამატულ თეატრში იდგმება, საჯარო შესრულების გასამრჯელო დაერიცხება იმ განაკვეთების მიხედვით, რაც დაწესებულია ოპერეტებისათვის, ესე იგი № 1 დანართის IV კარის 6, 7, 8 და 9 პუნქტების მიხედვით.

23. დრამატული სპექტაკლების ორიგინალური მუსიკისათვის გასამრჯელო დაერიცხება სპექტაკლის ყოველ აქტში, რომელიც მუსიკის აკომპანემენტით სრულდება, დამოუკიდებლად მუსიკალური ნომრების რაოდენობისა, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა — ყღერს მუსიკა მუსიკოსთა შესრულებით თუ მექანიკური ჩანაწერით.

თუ საავტორო უფლებით დაცული მუსიკა სრულდება მრავალაქტიანი სპექტაკლის ყველა აქტში, საავტორო გასამრჯელო დაერიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 2 პროცენტის ოდენობით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის IV კარის მე-10 პუნქტი).

თუ სპექტაკლის ცალკეული აქტები მიდის უმუსიკოდ ან ისეთი მთლიანი მუსიკის აკომპანემენტით, რომელსაც საავტორო უფლება არ იცავს, საავტორო გასამრჯელო დაერიცხება მხოლოდ იმ აქტებისათვის, რომლებიც საავტორო უფლებით დაცული მუსიკით სრულდება, თითოეული აქტის მთლიანი შემოსავლის თანხის 0,5 პროცენტის ოდენობით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის IV კარის მე-11 პუნქტი).

თუ პიესასა და სპექტაკლში აქტების რაოდენობა ერთმანეთს არ ეთანხმება, საავტორო გასამრჯელო მუსიკალური აკომპანემენტისათვის დაერიცხება სპექტაკლში აქტების რაოდენობის მიხედვით.

თუ სპექტაკლი, რომელსაც მთელი საღამო უკავია, დადგმულია ორ განყოფილებად ან ორ ნაწილად და ამასთან ორივე განყოფილება სრულდება საავტორო უფლებით დაცული მუსიკის აკომპანემენტით, და მუსიკალური ნომრების რაოდენობა 12-ს აღემატება, გასამრჯელო დაერიცხება შემოსავლის 2 პროცენტის ოდენობით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის IV კარის მე-10 პუნქტი).

24. საავტორო გასამრჯელო საკონცერტო, საესტრადო და საცირკო პროგრამებისათვის (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 1 დანართის კარი V) დაერიცხება დამოუკიდებლად იმისა — ყღერს ნაწარმოები არტისტთა შესრულებით თუ მექანიკური ჩანაწერით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასამრჯელო დაერიცხება შემსრულებელთა ხელფასის თანხიდან.

25. საავტორო ჰონორარი შერეული საკონცერტო პროგრამისათვის დაერიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 5 პროცენტის ოდენობით თუ კონცერტში სრულდება თუნდაც ერთი დიდი სიმფონიური ან ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები (სიმფონია, ორატორია, კანტატა, სიმფონიური პოემა ან უვერტიურა, ინსტრუმენტული კონცერტი ორკესტრით და ა. შ.), ან დიდი ფორმის კამერული ნაწარმოები (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სონატა).

ისეთი შერეული საკონცერტო პროგრამის შესრულების ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რომელშიაც შედიან, როგორც მცირე ფორმების სიმფონიური, ვოკალურ-სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები, ისე სხვა (ლიტერატურული საესტრადო და სხვ.) ნაწარმოებები, — საავტორო გასამრჯელო დაერიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 3 პროცენტის ოდენობით.

26. საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენები გაუთანაბრდება საესტრადო კონცერტებს. კონცერტისა და ცეკვებისაგან შემდგარი პროგრამისათვის, თუ შესასვლელი ფასი ერთიანია, საავტორო გასამრჯელო დაერიცხება, როგორც საესტრადო კონცერტისათვის — მთლიანი შემოსავლის თანხის 3 პროცენტის ოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობით. საცირკო საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენები, თუ ისინი სპეციალურად დაწერილია ცირკისათვის, გაუთანაბრდება პანტომიმას. თუ საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენების ბილეთების ღირებულებაში შეტანილია საჩუქრების ღირებულება, მაშინ გაყიდული ბილეთებისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხიდან გასამრჯელოს დარიცხვისას საჩუქრების ღირებულება გამოირიცხება მთლიანი შემოსავლის თანხიდან.

27. საავტორო გასამრჯელო საცირკო პროგრამისათვის მთლიანი შემოსავლის 0.5 პროცენტის ოდენობით დაერიცხება, თუ შესრულება წარმოებს ცირკის არენაზე ანდა თუ კონცერტი შედგება მხოლოდ საცირკო ნომრებისაგან; ნაკრები პროგრამის შემადგენლობაში საცირკო გამოსვლების ყველა დანარჩენ შემთხვევაში გასამრჯელო დაერიცხება როგორც საესტრადო კონცერტისათვის.

თეატრალიზებული საესტრადო, საცირკო წარმოდგენებისა და კონცერტებისათვის, რომლებიც მასობრივ არენებზე სრულდება (სტადიონები, სპორტის სასახლეები, იპოდრომები, დახურული და ღია მოედნები, რომელთა ადგილები 3000-ს აღემატება), საავტორო გასამრჯელო დაერიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 0.5 პროცენტის ოდენობით.

28. საავტორო გასამრჯელო მუსიკისათვის, რომლის აკომპანემენტით სრულდება თოჯინა-მარიონეტების სპექტაკლი (რომელსაც ლიტერატურული ტექსტი არა აქვს) და ორიგინალური ჟანრების არტისტების გამოსვლები (ილუზიონისტები, ფსიქოექსპერიმენტატორები და ა. შ.), დაერიცხება მთლიანი შემოსავლის თანხის 0,25 პროცენტის ოდენობით, მთელი სპექტაკლისათვის ან კონცერტის თითოეული განყოფილებისათვის, რომელშიაც ჟღერს საავტორო უფლებით დაცული მუსიკა.

29. ორიგინალური მუსიკისათვის, რაც სპეციალურად დაწერილია ისეთი საცირკო პანტომიმის ფეერიის, ბალეტის ან სიუჟეტური ატრაქციონის სააკომპანემენტოდ, რომლებსაც უკავიათ სულ ცოტა ერთი დამოუკიდებელი განყოფილება, საავტორო ჰონორარი დაერიცხება მთლიანი შემოსავლის 0,25 პროცენტის ოდენობით თითოეული განყოფილებისათვის, რომელშიაც მუსიკა სრულდება, იმ განაკვეთების ზევით, რაც დაწესებულია საერთო საცარიკო პროგრამისა და პანტომიმისათვის, ფეერიისათვის ან ბალეტისათვის.

30. საავტორო გასამრჯელო ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის მოედნებზე, სადაც არ ახდევინებენ ამ მოედანზე შესვლის ცალკე ფასს (თეატრების ფოიე სპექტაკლის დაწყებამდე ან მის შემდეგ, ანდა ანტრაქტებში, კინოთეატრების ფოიე, კაფეები და რესტორნები, ღია მოედნები პარკებში, ბაღებში, სტადიონებზე და ა. შ.) დაერიცხება ან შემსრულებელთა გასამრჯელოს თანხიდან, თუ შემსრულებელს გასამრჯელოს აძლევს უშუალოდ მოედნის ადმინისტრაცია, ან მოედნის ადმინისტრაციასა და იმ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების თანხიდან, რომელმაც შემსრულებელთა კოლექტივი დაუთმო.

III. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის დარიცხვისა და გადახდევინების წესი

31. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხდელები არიან ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო-მუ-
რულებას: თეატრები, საკონცერტო და საცირკო გაერთიანებები და კოლექტი-
ვები, საკონცერტო-საესტრადო ბიუროები, ფილარმონიები, ცირკები, კლუბები,
კულტურის სახლები და სასახლეები, მოყვარულთა თვითმოქმედი თეატრები,
ოფიცერთა სახლები, კაფე და რესტორნები, პარკები, ბაღები, სტადიონები, და-
სასვენებელი სახლები, სანატორიუმები და ა. შ.

32. ყველა პროფესიული თეატრი, დამოუკიდებელი მუსიკალური კოლექ-
ტივები, რომლებიც საკონცერტო ორგანიზაციების სისტემაში არ შედიან, და
სტაციონარული ცირკები საავტორო გასამრჯელოს არტისტთა ძალებით საჯარო
შესრულებისათვის როგორც სტაციონარებში, ისე მოედნებზე, რომლებიც სხვა
ორგანიზაციებს ეკუთვნიან, იხდიან ცენტრალიზებული წესით, თავიანთი ბაზე-
ბის ადგილსამყოფელის მიხედვით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მო-
ძრავი, საკოლმეურნეო და თოჯინების თეატრები, მუსიკალური კოლექტივები ან
საკონცერტო ბრიგადები გამოდიან ადგილობრივ ფილარმონიებთან და საკონ-
ცერტო-საესტრადო ბიუროებთან სახელშეკრულებო საწყისებზე (ამ შემთხვე-
ვაში გასამრჯელოს იხდიან ფილარმონიები და საკონცერტო-საესტრადო ბიუ-
როები, რომლებმაც გამოსვლები მოაწყეს).

33. ფილარმონიები და საკონცერტო-საესტრადო ბიუროები საავტორო გა-
სამრჯელოს იხდიან ცენტრალიზებული წესით, თავიანთი ადგილსამყოფელის
მიხედვით, საჯარო შესრულებისათვის თავიანთი სოლისტების, კოლექტივებისა
და ბრიგადების, აგრეთვე იმ მოძრავი თეატრების, საკონცერტო და საცირკო
ჯგუფების, ბრიგადებისა და ანსამბლების ძალებით, რომლებიც სხვა ორგანიზა-
ციების გამგებლობაში იმყოფებიან, მაგრამ გამოდიან ფილარმონიებთან ან სა-
კონცერტო საესტრადო ბიუროებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

თუ ფილარმონიის კოლექტივი ან ბრიგადა (საკონცერტო-საესტრადო ბი-
ურო) გამოდის სხვა ფილარმონიასთან (საკონცერტო-საესტრადო ბიუროსთან)
სახელშეკრულებო საწყისებზე, საავტორო გასამრჯელოს გადაიხდის ის საკონ-
ცერტო ორგანიზაცია, რომელთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ეწ-
ყობა გამოსვლები.

34. კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, ოფიცერთა სახლები,
პარკები, ბაღები და სხვ. დაარიცხავენ საავტორო გასამრჯელოს ნაწარმოებთა
საჯარო გამოსვლისათვის, რაც მათს მოედნებზე ხორციელდება საკუთარი პრო-
ფესიული საშემსრულებლო კოლექტივების, სამხედრო ნაწილების საშემსრუ-
ლებლო კოლექტივების და შრომითი შეთანხმებებით მოწვეული შემსრულებ-
ლების ძალებით.

ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის, რაც ხორციელდება მოწვეული
პროფესიული საშემსრულებლო კოლექტივების ძალებით (გარდა თეატრებისა,
დამოუკიდებელი მუსიკალური კოლექტივებისა, სტაციონარული ცირკებისა,
აგრეთვე ფილარმონიების და საკონცერტო-საესტრადო ბიუროების ბრიგადე-
ბისა) და თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით, საავტორო გასამრჯელოს დაა-
რიცხავს მოედნის (კლუბის, კულტურის სახლის ან სასახლის და სხვ.) ადმინის-
ტრაცია ბილეთების გაყიდვისაგან შემოსული თანხიდან, რომელიც მის სალარო-
ში შევიდა, ხოლო როცა მაყურებელთა შესვლა უფასოა — ის ორგანიზაცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ეკუთვნის საშემსრულებლო კოლექტივი, — გარანტირებული საზღაურის თანხიდან, რაც მან ხელშეკრულების მიხედვით მიიღო მოედნის მფლობელისაგან. შემკვეთთან (მოედნის მფლობელთან) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გამართული სპექტაკლისათვის ან კონცერტისათვის გარანტირებული საზღაურის თანხის გამოანგარიშების დროს ის ორგანიზაცია, რომლის სახელით გამოდის კოლექტივი, გამოსვლის უშუალო ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, მოვალეა გაითვალისწინოს აგრეთვე საავტორო გასამრჯელო (და ანარიცხები სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში).

ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის, რომელსაც ახორციელებენ კლუბების, კულტურის სახლებისა და სასახლეების და სხვათა ცალკეული შტატის მუშაკები (ბაიანისტები, შემაქცევრები და სხვა შემსრულებლები), საავტორო გასამრჯელო არ დაერიცხება.

35. საჯარო შესრულებისათვის, რაც ხორციელდება მოძრავი საცირკო კოლექტივების ძალებით ფილარმონიებთან ან საკონცერტო-საესტრადო ბიუროებთან ხელშეკრულებების დაუდებლად, საავტორო გასამრჯელოს გადაიხდის ცენტრალიზებული წესით საცირკო გაერთიანების ჯგუფი, რომელშიაც კოლექტივი შედის, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მოძრავი საცირკო კოლექტივები, რომლებიც საცირკო გაერთიანების ჯგუფებში არ შედიან, საავტორო გასამრჯელოს იხდიან დამოუკიდებლად — გამოსვლების ადგილის მიხედვით.

36. საავტორო გასამრჯელოს თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენებისა და კონცერტებისათვის, რომლებიც მასობრივ არენებზე იმართება (სტადიონები, სპორტის სასახლეები და ა. შ.) იხდის ის ორგანიზაცია, რომლის სალაროშიც შედის ბილეთების გაყიდვისაგან მიღებული მთლიანი შემოსავლის თანხა. როდესაც ნაწარმოებები საჯაროდ სრულდება ისეთ მოედნებზე, რომლებსაც არა აქვთ მაყურებლებისათვის ადგილების განსაზღვრული რაოდენობა (პარკები და ა. შ.), ეს მოედნები უთანაბრდება მასობრივ არენებს, თუ ამ წარმოდგენის ან პროგრამის შესრულების დროს გაიყიდა 3000-ზე მეტი შესასვლელი ბილეთი.

37. ისეთი საჯარო შესრულებისათვის ცენტრალიზებული ანგარიშსწორების დროს, რომელიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეწყობა, საავტორო გასამრჯელო დაერიცხება საჯარო შესრულების ადგილზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

38. საავტორო გასამრჯელოს ყველა გადამხდელი მოვალეა აწარმოოს შესრულებულ ნაწარმოებთა ზუსტი აღრიცხვა და წარუდგინოს საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების „საუდის“ რწმუნებულებს მათი პირველი მოთხოვნისთანავე ცნობები ფაქტიურად შესრულებულ ნაწარმოებთა სახელწოდების, მათი ავტორების (მათ შორის მუსიკის და ტექსტის ავტორებისა და მთარგმნელების) გვარებისა და ინიციალების, აგრეთვე შემოსავლის თანხების (როდესაც შესვლა ფასიანია), გარანტირებული საზღაურის თანხების და გასამრჯელოს (ხელფასის) თანხების შესახებ, რომლებიც შემსრულებლებს დაერიცხათ (როდესაც შესვლა უფასოა და მუსიკა სრულდება ცეკვებზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები წარდგენილი უნდა იქნეს საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, რისთვისაც შეივსება საანგარიშსწორებო ფურცლებისა და პატაკების (შესრულების პროგრამების) ბლანკები, რომლებსაც „საუდის“ რწმუნებულები უგზავნიან გადამხდელის ადმინისტრაციას.

ცნობების დროულად წარდგენისათვის, მათი სისწორისა და სისრულისათვის პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება გადამხდელი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, აგრეთვე მოსიარულე საშემსრულებლო კოლექტივების ხელმძღვანელებსა და ადმინისტრატორებს.

39. „საუდის“ რწმუნებული შეამოწმებს გადამხდელის ბუღალტერიის მიერ შედგენილ საავტორო გასამრჯელოს გადასახდელი თანხების გაანგარიშებას, რის შემდეგ საბოლოოდ გაფორმებულ საანგარიშსწორებო ფურცლებს სამ ცალად ხელს მოაწერენ გადამხდელის ორგანიზაციის ხელმძღვანელები და „საუდის“ რწმუნებული და დაამოწმებენ გადამხდელის ბეჭდით.

საანგარიშსწორებო ფურცლის ერთი ეგზემპლარი რჩება გადამხდელის ბუღალტერიაში, ორი ეგზემპლარი ხელზე ეძლევა „საუდის“ რწმუნებულს. იმ შემთხვევებში, როდესაც ცნობებს შესრულებული ნაწარმოებებისა და მათი ავტორების შესახებ წარადგენენ პატაკის (შესრულების პროგრამის) სახით, ამ უკანასკნელს ხელს მოაწერს შესრულებული პროგრამისათვის პასუხისმგებელი პირი, დაეკვრის გადამხდელის ბეჭედი და მიეცემა „საუდის“ რწმუნებულს არა უგვიანეს საანგარიშსწორებო ფურცლების მიცემის დროისა.

40. გადამხდელი ვალდებულია მის მიერ საანგარიშსწორებო ფურცლის ხელმოწერის დროიდან ათი დღის ვადაში გადარიცხოს საავტორო გასამრჯელოს იქ აღნიშნული თანხები „საუდის“ მიმდინარე ანგარიშზე.

41. „საუდის“ რწმუნებულებს სამსახურებრივი მოწმობის ან მინდობილობის წარდგენის შემდეგ უფლება ეძლევათ გასინჯონ გადამხდელის ყველა დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გაანგარიშებებთან.

42. სამსახურებრივი მოწმობის წარდგენის შემდეგ „საუდის“ რწმუნებულს უფლება აქვს თავისუფლად შევიდეს ყველა სანახაობითი საწარმოს და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საყურებელ დარბაზებში სამსახურებრივ საქმეებზე, მაგრამ ისე, რომ მათ არ დაეთმოთ მუდმივი ადგილები.

IV. ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის საავტორო ჰონორარის გაცემის წესი

43. საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს („საუდის“) საქართველოს განყოფილება ავტორებს აძლევს გასამრჯელოს მხოლოდ იმ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის, რომელთა შესრულება ნებადართულია სათანადო წესით და რომლებიც ავტორების მიერ რეგისტრირებულია „საუდში“.

44. გასამრჯელოს განაწილებას ავტორებს შორის საკონცერტო, საცირკო და სხვა პროგრამებისათვის, რომლებიც შედგება სხვადასხვა ავტორების რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე ნაწარმოებისაგან, ახორციელებს საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება („საუდი") სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს და სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

45. თუ დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომელსაც გაუვიდა საავტორო უფლების მოქმედების ვადა, ვინმემ გადააკეთა, შეავსო ან შეცვალა, ასეთი გადამუშავებული ნაწარმოების შესრულებისათვის საავტორო გასამრჯელოს გასცემს „საუდი" მხოლოდ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველი ცალკე სპეციალური ნებართვით.

46. თანამდებობის პირებს (დირექტორი, რეჟისორი, მუსიკალური ნაწილის გამგე, ანსამბლის ხელმძღვანელი და ა. შ.), რომლებზედაც დამოკიდებულია სარეჟისორო-სადამდგმელო მუშაობა ან რეპერტუარის შედგენა თეატრში, ცირკში, საკონცერტო ორგანიზაციაში ან საშემსრულებლო კოლექტივში, საავტორო გასამრჯელო მათი საკუთარი, აგრეთვე მათ მიერ იმ ორგანიზაციაში თანაავტორობით დაწერილ ნაწარმოებთა შესრულებისათვის, სადაც ისინი მსახურობენ, მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შესრულებაზე წინასწარ იყო მიღებული ზემდგომი ორგანოების წერილობითი ნებართვა.

47. ავტორთა მემკვიდრეებს ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის გასამრჯელო მიეცემათ იმ თანხის 50 პროცენტის ოდენობით, რაც ავტორს უნდა მისცემოდა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ავტორის ხვედრი გასამრჯელოს თანხა არ მიუღია მას სიცოცხლეში, იგი მიეცემა მემკვიდრეებს სრულად.

48. ავტორებისა და მემკვიდრეებისათვის ანგარიშის გასწორების დროს სახელმწიფო გადასახადები და გადასახდელები ვალდებულებათა მიხედვით გადახდება გასამრჯელოს იმ თანხიდან, რომელიც შემოდის ავტორისათვის ან მემკვიდრეებისათვის მისაცემად.

49. საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება („საუდი"), მისი დებულების შესაბამისად, დაუკავებს თავისი აპარატის შესანახ ანარიცხებს საავტორო გასამრჯელოს მის მიერ აკრეფილი მთელი თანხებიდან.

50. გასამრჯელოს, რომელიც ამ ინსტრუქციის შესაბამისად (პუნქტები 2, 16, 20) რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალში უნდა გადაეცეს, საავტორო უფლებათა დაცვის სრულიად საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილება გადარიცხავს მე-12 კარის, 25 პარაგრაფის მიხედვით კვარტალში ერთხელ, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. ერთდროული გასამრჯელო დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შექმნის შეკვეთების შესრულებისათვის

51. ერთდროული გასამრჯელო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით გაიცემა დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების შექმნის შესახებ დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მათი საჯარო შესრულებისათვის, აგრეთვე გამოუქვეყნებელი დრამატული, მუსიკალური და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების პირველი საჯარო შესრულების (დადგმის) შესახებ დადებული ხელშეკრულებებით.

52. ერთდროული გასამრჯელოს განაკვეთი წესდება ავტორთან დადებული ხელშეკრულებით ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულების, მისი მოცულობისა და მუშაობის სირთულის მიხედვით. მზა ნაწარმოების შეძენის ან ნაწარმოების შეკვეთის დროს შეფარდებული უნდა იქნეს ამ დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებული განაკვეთების პირველი, მეორე და მესამე კატეგორიები; მეოთხე კატეგორია შეფარდებული უნდა იქნეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე მას შემდეგ, რაც განხორციელდება ნაწარმოები და მიიღებს იგი საზოგადოებრიობის მაღალ შეფასებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 2 დანართში აღნიშნული განაკვეთების შეფარდება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვის ექვემდებარება ორგანიზაცია, რომელმაც ხელშეკრულება დადო ავტორთან.

53. დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს უფლება აქვთ დადონ ხელშეკრულებანი ნაწარმოების შეკვეთით შექმნის შესახებ მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან (ორგანიზაციასთან) და მიიღონ ერთდროული გასამრჯელო მოცემული ნაწარმოებისათვის მხოლოდ ერთხელ ერთ დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში.

54. ის გარემოება, რომ ავტორმა დადო ხელშეკრულება საჯარო შესრულებისათვის ნაწარმოების შექმნის შესახებ, ხელს არ უშლის მას დადოს საგამომცემლო ხელშეკრულება ამ ნაწარმოებზე მას შემდეგ, რაც იგი დამთავრდება, და მიიღოს გასამრჯელო გამოცემისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

საგამომცემლო ხელშეკრულების დადება ნაწარმოებზე ხელს არ უშლის ავტორს დადოს ხელშეკრულება ამ ნაწარმოების საჯარო შესრულების შესახებ ერთდროული გასამრჯელოს მიცემით, თუ ნაწარმოები დამთავრებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული, ამასთან ასეთი ხელშეკრულების დადების დროს ავტორი მოვალეა წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, რომ მას დადებული აქვს წერილობითი ხელშეკრულება გამომცემლობასთან და ამა და ამ ვადაში უნდა ჩააბაროს გამომცემლობას დამთავრებული ხელნაწერი. თუ ავტორს ასეთი ცნობა არ მიუწოდებია და წიგნი გამოვიდა იმ დროამდე, რაც ნაწარმოები სცენაზე იყო დადგმული ან იმ დრომდე, რაც გავიდა მისი დადგმის კანონით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ხელშეკრულებით დაწესებული ვადა, — იმ ორგანიზაციას, რომელმაც ავტორთან დადო ხელშეკრულება ნაწარმოების საჯარო შესრულების შესახებ, უფლება აქვს მოთხოვოს ავტორს მის მიერ მიღებული ერთდროული გასამრჯელოს დაბრუნება.

55. დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, რომლებმაც ავტორთან დადეს ხელშეკრულება ნაწარმოების შექმნის ან გამოუქვეყნებელი ნაწარმოების საჯარო შესრულების შესახებ და მისცეს ავტორს ერთდროული გასამრჯელო, — უფლება აქვთ გადასცენ მათ მიერ მიღებული ნაწარმოები ფართო საჯარო შესრულებისათვის საქვეუწყებო ორგანიზაციებს, შეასრულონ იგი რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე გაგზავნონ იგი საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს გავრცელების განყოფილებაში ისე, რომ ავტორს არ მიეცეს არავითარი დამატებითი ერთდროული გასამრჯელო დადგმის უფლებისათვის.

ყველა სხვა სახეობის საავტორო გასამრჯელო, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილებით (გასამრჯელო საჯარო შესრულებისათვის, გასამრჯელო გამოცემისათვის) ძალაში რჩება.

საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს გავრცელების განყოფილების მიერ გამოუცემელ დრამატულ და საესტრადო ნაწარმოებთა გავრცელება, ხელნაწერის უფლებებით, მათი ავტორების თანხმობით, იმ მიზნით, რომ მოამარაგოს თეატრები რეპერტუარული სიახლეებით, არ ითვლება ამ გამოცემად, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 490 მუხლით.

56. არ დაიშვება ერთდროული გასამრჯელოს გაცემა ხელშეკრულებით, რომელიც შეეხება გამოუქვეყნებელი ნაწარმოების გადაკეთებას მოცემული თეატრის მოთხოვნილების შესაბამისად. ასეთი ხელშეკრულებით თეატრს შეუძლია მხოლოდ მისცეს ავტორს ავანსი მომავალი პროცენტული ანარიცხების ანგარიშში, 5 სპექტაკლისათვის იმ გასამრჯელოს ფარგლებში, რაც დარიცხულია სპექტაკლისათვის თეატრის საშუალო წლიური გეგმიანი შემოსავლის მიხედვით, თუ თეატრი უარს იტყვის დადგმაზე, ეს ავანსი რჩება ავტორს.

პროცენტული ანარიცხების ანგარიშში ავანსი შეიძლება მიეცეს ავტორს ზემოაღნიშნული წესით აგრეთვე გამოუცემელი, მაგრამ უკვე ერთდროულად ანაზღაურებული ნაწარმოების დადგმის შესახებ დადებული ხელშეკრულებით იმ შემთხვევაში, როდესაც თეატრს სურს შეინარჩუნოს მოცემულ ქალაქში ამ ნაწარმოების პირველად დადგმის უფლება.

57. იმ შემთხვევაში, თუ ავტორმა ძირეულად გადაამუშავა თავისი გამოქვეყნებული ნაწარმოები, შესაძლებელია განმეორებით მიეცეს ავტორს ერთდროული გასამრჯელოს 75 პროცენტამდე: მუსიკალური ნაწარმოებებისათვის — საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის დასკვნით, ყველა სხვა ნაწარმოებისათვის — საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის დასკვნით იმ ანგარიშით, რომ ეს დასკვნები აუცილებლად დაამტკიცონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ან მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

58. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა იმ გამოქვეყნებული ნაწარმოებების გადამუშავება, რომლებიც დაწერილია ესტრადისა და ცირკისათვის აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე, ავტორებს შეიძლება მიეცეთ გასამრჯელო ხელშეკრულებებით ერთდროული გასამრჯელოს შესაბამისი განაკვეთების 50 პროცენტის ფარგლებში.

59. ოპერებისა და ოპერეტების ლიბრეტოს თარგმნისათვის ერთდროული გასამრჯელო გაიცემა იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია გალექსილი პიესების თარგმნისათვის.

60. ესტრადასა და ცირკში შესასრულებლად შექმნილი ნაწარმოებებისათვის ერთდროული გასამრჯელოს განაკვეთები (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 2 დანართის მე-4 კარი) შეფარდებული უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) სიმღერების მუსიკისათვის ერთდროული გასამრჯელო გაიცემა აღნიშნული დანართის მე-2 კარის 24-ე პუნქტის შესაბამისად;

ბ) ორნაწილიანი მუსიკა კუპლეტებისათვის ანაზღაურდება როგორც სიმღერა;

გ) 6 და მეტი სტრიქონის მქონე კუპლეტები ანაზღაურდება როგორც ორი ოთხტაეპიანი ლექსი, კუპლეტების მოცულობის მიუხედავად;

დ) საესტრადო ნომრების ლიტერატურული გაფორმებისათვის გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება ორიგინალური ჟანრის ნომრებს;

ე) მოკლე დიალოგისათვის (ინტერმედიისათვის) გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება ადგილობრივ თემებზე დაწერილ ინტერმედიებს, აგრეთვე ისეთ ინტერმედიებს, რომლებსაც აქვთ ნომრის დაკავშირების ან შესავალის ხასიათი.

ვ) საკლოუნო ანტრესათვის გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება აგრეთვე ანტრეს, რომელიც დაწერილია მუსიკალური ექსცენტრიკებისათვის;

ზ) ცალკე რეპრიზისათვის გათვალისწინებული განაკვეთები შეუფარდდება აგრეთვე რეპრიზებს, რომლებიც დაწერილია კლოუნებისა, კოვერნებისა და კონფერანსიებისათვის.

61. თანამდებობის პირებთან, რომლებზედაც დამოკიდებულია სარეჟისორო-სადამდგმელო მუშაობა ან რეპერტუარის შედგენა მოცემულ თეატრში, ცირკში, საკონცერტო ორგანიზაციაში ან საშემსრულებლო კოლექტივში, ხელშეკრულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ერთდროული გასამრჯელოს გაცემას, შეიძლება დაიდოს მხოლოდ ყოველ ცალკე შემთხვევაში ზემდგომი ორგანიზაციის სპეციალური ნებართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. მუსიკალურ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები

62. მელოდიების თავისუფალი დამუშავება (დამუშავების ორიგინალური მუსიკალური ფაქტურა) ანაზღაურდება ორიგინალურ ნაწარმოებთა განაკვეთების 75-100 პროცენტის ოდენობით.

63. დამუშავება, რომელსაც ორიგინალური ნაწარმოების მუსიკალურ ფაქტურაში შეაქვს ახალი შემოქმედებითი ელემენტები, ანაზღაურდება ორიგინალურ ნაწარმოებთა 50-75 პროცენტის ოდენობით.

64. ორიგინალური ნაწარმოების ფაქტურის შეცვლა, რაც გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ შეუგუოს დამუშავება სხვა სახის შესრულებას, ანაზღაურდება როგორც გადმოღება.

65. გადმოღება (მზა საავტორო მასალის გამოყენება სხვა სახის შესრულებისათვის, კლავირი და ა. შ.) ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) გადმოღება, რომელსაც რთული მუსიკალური ფაქტურა აქვს, — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთების 20-40 პროცენტის ოდენობით;

ბ) უმარტივესი სახის გადმოღება — ორიგინალური ნაწარმოების განაკვეთების 5-15 პროცენტის ოდენობით;

გ) დირექციონების შედგენა — 40 კაპიკამდე ტაქტში.

საორკესტრო ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების №№ 2 და 3 დანართებით, — შეიცავენ დაორკესტრების საზღაურს. თუ დაორკესტრებას ეწევა მუსიკის არა თვით ავტორი, მეორკესტრის მუშაობის ანაზღაურება წარმოებს ავტორის ჰონორარის ანგარიშში.

66. დაორკესტრება ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) რთული სახის დაორკესტრება (სიმფონიური ორკესტრებისათვის, ხალხური და სასულე ინსტრუმენტების ორკესტრებისათვის და სხვა სახის რთული დაორკესტრებისათვის) — 40-60 კაპიკი ტაქტში;

ბ) მარტივი სახის დაორკესტრება — 20-40 კაპიკი ტაქტში.

67. დამუშავება და გადმოღება ანაზღაურდება იმ განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც გათვალისწინებულია ისეთი სახის ნაწარმოებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

68. დამუშავებული ან გადმოღებული თხზულების ავტორს გასამრჯელო მიეცემა ტირაჟის ნორმების და მინიმალური განაკვეთების 10 პროცენტის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ისეთი სახის ნაწარმოებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება მოცემული თხზულება დამუშავების ან გადმოღების შემდეგ.

69. ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა ჩანაწერები ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით:

ა) მარტივი მელოდიური აღნაგობის ერთხმოვანი კუპლეტები — მელოდიები — 5 მანეთი ჩანაწერში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რთული პერიოდული და რიტმული აღნაგობის ერთხმოვანი მელოდიები და მარტივი რიტმული აღნაგობის ორხმოვანი მელოდიები — 5-12 მან. 50 კაპ. ჩანაწერში;

გ) რთული პერიოდული და რიტმული აღნაგობის ორხმოვანი მელოდიები — 7 მან. 50 კაპ. — 15 მან. ჩანაწერში;

დ) სამხმოვანი და მრავალხმოვანი მელოდიები — 10 მან. — 17 მან. 50 კაპ. ჩანაწერში.

ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა ჩანაწერი ანაზღაურდება იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია ვოკალური ჩანაწერების შესაბამისი კარების მიხედვით, — ხმების რიცხვისა და ფაქტურის სირთულის კვალობაზე.

70. მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულების შედგენა ანაზღაურდება არა უმეტეს 10 მანეთისა კრებულში შეტანილი თითოეული ნაწარმოებისათვის.

71. გადმოღება, დირექციონები და დაორკესტრება, აგრეთვე ხალხური მუსიკის ჩანაწერები (დაუმუშავებლად) ანაზღაურდება დამოუკიდებლად ტირაჟისა და ხელახლა გამოცემის დროს არ ანაზღაურდება.

კრებულების შედგენა ანაზღაურდება ტირაჟის მიუხედავად, ხალხური მუსიკის ნაწარმოებთა კრებულების ხელახლა გამოცემა ანაზღაურდება იმ პირობით, თუ შემდგენელმა დამოუკიდებლად დაამუშავა კრებულში შეტანილი ნაწარმოებები.

72. მუსიკალურ ნაწარმოებთა რეცენზირება და რედაქტირება ანაზღაურდება შემდეგი ოდენობით;

ა) რეცენზია მცირე მოცულობის (200 ტაქტამდე) მუსიკალური ნაწარმოებისა 5-10 მან. სარეცენზიო ნაწარმოებისათვის;

ბ) რეცენზია 200 ტაქტზე მეტი ნაწარმოებისა ან მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებულისა — 50 მანეთამდე შეთანხმებით;

გ) რედაქტირება:

მუსიკალური ნაწარმოებებისა — 3-15 კაპ. ტაქტში;

ნათარგმნი სასიმღერო ლიტერატურის ტექსტებისა (ეკვირიტმული თარგმანის ქვეტექსტის და ორიგინალური ტექსტის კორექტურის ჩათვლით) — 10-30 კაპ. სტრიქონში.

73. ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი სახეობის ნაწარმოებები პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 264 დადგენილების № 3 დანართით, შეფარდებული იქნება გასამრჯელოს განაკვეთები და ტირაჟები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დანართით შესაბამისი სახეობის მუსიკალური ნაწარმოებებისათვის; მაგალითად, სიმფონია სასულე ორკესტრისათვის ანაზღაურდება № 3 დანართის მე-5 მუხლის მიხედვით, მარშები სასულე ორკესტრისათვის, რომლებსაც გაშლილი საკონცერტო ხასიათი აქვთ, — იმავე დანართის მე-9 მუხლის მიხედვით; გუნდური მრავალნაწილიანი ნაწარმოებები ორკესტრის აკომპანემენტით ანაზღაურდება № 3 დანართის მე-6 და 7 პუნქტების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 2[illegible] დადგენილების № 3 დანართის 25 პუნქტის და 26 პუნქტის მე-2 შენიშვნის მოქმედება ვრცელდება იმ კრებულებზე, რომლებშიაც სიტყვიერი ტექსტი სჭარბობს. ისეთი კრებულების შედგენის დროს, რომლებშიაც მუსიკალური მასალა სჭარბობს, შეფარდებული იქნება ამ ინსტრუქციის 69-ე პუნქტი.

VII. სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში თანხების გადარიცხვის წესი

75. ყველა სანახაობითმა საწარმომ, კლუბმა, საკონცერტო-საესტრადო ორგანიზაციამ და ა. შ. საავტორო ჰონორართან ერთად უნდა გადაუხადოს საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილებას („საუდს“) ანარიცხები სსრ კავშირის ლიტერატურულ და მუსიკალურ ფონდებში ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით.

ლიტერატურულ ფონდში:

ა) გამომცემლობებმა და ჟურნალების რედაქციებმა ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოებებისათვის (ლექსები, პროზა, დრამატული ნაწარმოებები, მოზარდთა და ბავშვთა ლიტერატურა, პოპულარული სანარკვეო, ლიტერატურათმცოდნეობის და კრიტიკული ნაწარმოებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე) — ფაქტიურად გაცემული საავტორო ჰონორარის მთელი თანხის ათი (10) პროცენტის ოდენობით;

ბ) თეატრებმა (სტაციონარული და მოძრავი), დრამატულმა (დრამა, კომედია და სხვ.), მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების, რაიონულმა თეატრებმა და თეატრ-მინიატურებმა — მთლიანი შემოსავლის ან ხელშეკრულების (როდესაც შესვლა უფასოა) — ორი (2) პროცენტის ოდენობით;

გ) ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ (კლუბები, კულტურის სახლები, კულტურისა და დასვენების პარკები, საზაფხულო ბაღები და სხვ.) თვითმოქმედი წრეების სპექტაკლებისათვის — მთლიანი შემოსავლის ან ხელშეკრულების (როდესაც შესვლა უფასოა) თანხის ნახევარი (0,5) პროცენტის ოდენობით.

მუსიკალურ ფონდში:

ოპერისა და ბალეტის, ოპერეტის (მუსიკალური კომედიის) სტაციონარულმა და მოძრავმა თეატრებმა, ესტრადებმა, ყველა საკონცერტო და საკონცერტო-საესტრადო, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, რომლებიც მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ სპექტაკლებსა და კონცერტებს აწყობენ, — საერთო შემოსავლის ან ხელშეკრულების (როდესაც შესვლა უფასოა) თანხის ერთნახევარი (1,5) პროცენტის ოდენობით;

ლიტერატურულ ფონდსა და მუსიკალურ ფონდში თანხების ანარიცხები იწარმოებს მიუხედავად იმისა, იცავს თუ არა საავტორო უფლება ამა თუ იმ ნაწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. ლიტერატურულ ფონდსა და მუსიკალურ ფონდში თანხების გადარიცხვასთან ერთად, გამომცემლობები და სანახაობათა საწარმოები მოვალენი არიან წარუდგინონ საავტორო უფლებათა დაცვის საკავშირო სამმართველოს საქართველოს განყოფილების („საუდის“) რწმუნებულებს ცნობები დაწესებული ფორმების მიხედვით ყოველთვიურად, აგრეთვე წარუდგინონ მათ ყოველგვარი საბუთები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად და დროულად იყო გადახდილი შენატანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„116. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქმშენინდუსტრიის" სამრეწველო საწარმოების საცხოვრებელი სახლები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 13 მაისი, № 265.

60 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აგვისტოს № 517 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აგვისტოს № 517 დადგენილების 1 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ექსპერიმენტულ ბაზად გადაეცეს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გალავნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა (1970 წლის 1 მაისის მდგომარეობით), ნაცვლად ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული მცხეთის სანერგე მეურნეობისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **რ. ფრუნიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 14 მაისი, № 276

ეროვნული ბიბლიოთეკა

61 კაფეების, რესტორანებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ კაფეების, რესტორანებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მუშაობის საკითხები და მიიღონ საჭირო ზომები მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

2. დაევალოთ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და ყველა სავაჭრო ორგანიზაციას:

ა) მიიღონ ზომები კაფე-რესტორანების შენობა-დანადგართა უახლოეს ხანში შეკეთება-გაწყობისათვის;

ბ) საზოგადოებრივი კვების ობიექტები უზრუნველყონ საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით, აამაღლონ მომსახურების კულტურა, მტკიცედ დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური წესები;

გ) გადაჭრით აღკვეთონ ვაჭრობის წესების დარღვევა და მომხმარებელთა მოტყუების სამარცხვინო ფაქტები; საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ვაჭრობის წესების დარღვევისათვის, უშუალო დამნაშავესთან ერთად, პასუხისმგებლობა დააკისრონ სავაჭრო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი კვების ტრესტების ხელმძღვანელებს და დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საზოგადოებრივი კვების გაერთიანებათა და საწარმოთა დირექტორებს;

დ) მკაცრი კონტროლი გაუწიონ მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე მუშაკების შერჩევას და მომავალში არ დაუშვან ამ თანამდებობებზე ისეთი პირები, რომლებიც ნასამართლევი არიან სახელმწიფო ქონების დატაცებისა და მითვისებისათვის.

3. მაგარი სასმელების ვაჭრობაში წესრიგის დამყარებისა და არაყისა და მისი ნაწარმის გაყიდვის შემცირების მიზნით, დაევალოთ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და რესპუბლიკის ყველა სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელს:

ა) აკრძალონ არაყის, კონიაკის და არაყის ყველა ნაწარმის (გარდა ლიქიორების) გაყიდვა ხორცის პროდუქტების, თევზეულის, ბოსტნეულისა და ხილის, რძის, დიეტური პროდუქტებისა და კონსერვის გასაყიდ სპეციალიზებულ მაღაზიებში, წვრილ საცალო სავაჭრო ქსელში, აგრეთვე რაიუნივერმაღებში;

ბ) აკრძალონ მაგარი სასმელების გაყიდვა ყველგან დილის 10 საათამდე;

გ) აკრძალონ მაგარი სასმელების მიყიდვა არასრულწლოვანთათვის;

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ 1970 წლის 3 მარტის № 59 ბრძანებით საზოგადოებრივი კვების მთელ რიგ საწარმოებში აკრძალა მაგარი სასმელების გაყიდვა;

დაევალოთ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას აღნიშნული ბრძანების შესაბამისად შეიმუშაონ და დაუგზავნონ დაქვემდებარებულ სავაჭრო ორგანიზაციებს სასმელების ასორტიმენტი, რომლის რეალიზაციაც დაშვებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ამა თუ იმ ტიპის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, და მკაცრი კონტროლი გაუწიონ დადგენილი ასორტიმენტის აუცილებლივ დაცვას.

5. კვების მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა და ცეკავშირმა გაადიდონ უალკოჰოლო სასმელების გამოშვება და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდება.

6. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს კონტროლი და მომზოვნელობა საზოგადოებრივი კვების ობიექტებისადმი სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 19 მაისი, № 285.

62 „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 მარტის № 126 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კულტურების იმ ჯიშობრივ დარაიონებაში 1971 წლისათვის შესატანი ცვლილებანი და დამატებანი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 მარტის № 126 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 21 მაისი, № 300

ეროვნული ბიბლიოთეკა

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 აპრილის № 229 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 30 აპრილის № 229 დადგენილებაში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის დენდროლოგიური პარკი გადაეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ნაცვლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 21 მაისი, № 301

64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ.გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, — დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„117. სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სისტემის საწარმოები, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **რ. ფრუიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 22 მაისი, № 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65 საქართველოს სსრ ზოგიერთი სასწავლებლისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელების მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივის, ამბროლაურისა და ჩოხატაურის რაიონების ხელმძღვანელი ორგანოების შუამდგომლობა და მიეკუთვნოს:

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს — დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის სახელი;

ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოს საშუალო სკოლას — სამოქალაქო ომის გმირის ვ. კიკვიძის სახელი;

ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბნის ბიბლიოთეკას — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ნ. ბერძენიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1970 წ. 25 მაისი, № 308.

66 საქართველოს სს რესპუბლიკაში ძირითად სახეობათა ბოსტნეულის ახალი შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ

„კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების გადიდების, დამზადების გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 203 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, 1970 წლის მოსავლით დაწყებული, ყველა კატეგორიის მეურნეობებისათვის ძირითად სახეობათა ბოსტნეულის ახალი შესასყიდი ფასები, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, № 1 დანართის თანახმად, და შენარჩუნებულ იქნეს ბაღჩეული კულტურების შესასყიდი ფასები, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 აპრილის № 249 დადგენილების დანართში, № 2 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა სახეობის ბოსტნეულისა და მწვანილის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 აპრილის № 249 დანართში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **დ. ჟიტიაშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 29 მაისი, № 311

მუზ. 66
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 29 მაისის № 311
დადგენილების დანართი № 1

შესასყიდი ფასები

ძირითადი სახეობის ბოსტნეულისა ყველა კატეგორიის მეურნეობებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში

მანეთობით ტონაში

კულტურების დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესასყიდი ფასი
თავთეთრა კომბოსტო	
იანვარი, თებერვალი, მარტი,	140
აპრილი, მაისი	200
ივნისი	150
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	70
ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი	60
ადგილობრივი ჯიშების კიტრი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი	2000
ივნისი	500
ივლისი, აგვისტო	200
სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი	300
ნეჟინის კიტრი	
მთელ სეზონში	
70 მმ-მდე ზომისა	400
71-დან 90 მმ-მდე ზომისა	300
90 მმ-ზე მეტი ზომისა	200
პამიდორი წითელი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი	3000
ივნისი	500
ივლისი	230
აგვისტო, სექტემბერი,	140
ოქტომბერი, ნოემბერი	250
პამიდორი მწვანე	
მთელ სეზონში	60
თავიანი ხახვი	
მთელ სეზონში	300
მწვანე ხახვი	
დეკემბერი, იანვარი, თებეოვალი, მარტი, აპრილი	150
მაისი, ივნისი	60
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი	50
ფოჩიანი ნიორი	
1 სექტემბრამდე	500
სექტემბერი, ოქტომბერი	600
დანარჩენი თვეები	800

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესასყიდი ფასი
სტაფილო უფოჩო	
მთელ სეზონში	100
სუფრის ჭარხალი უფოჩო	
მთელ სეზონში	40
ბადრიჯანი	
ივნისი, ივლისი	140
დანარჩენი თვეები	60
წიწაკა მწარე, მშრალი	
მთელ სეზონში	1500
წიწაკა წითელი, მწვანე	
მთელ სეზონში	300
წიწაკა ტკბილი, ბულგარული	
მთელ სეზონში	200
წითელი ბოლოკი (ჩინური)	
მთელ სეზონში	70
თვის ბოლოკი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი,	250
მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი	200
ყაბაყი	
მთელ სეზონში	80
პარკი ლობიო (გურული, ჩიტისკვერცხა და სხვა)	
(საკონსერვო ჯიშები)	300
დანარჩენი ჯიშების ლობიო	200
მწვანე ბარდა	400
ყვავილოვანი კომბოსტო	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	400
აპრილი	300
მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	250
ოქტომბერი, ნოემბერი	300
ქინძი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	700
დანარჩენი თვეები	300
ოხრახუში	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	800
დანარჩენი თვეები	300
ნიახური	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	800
დანარჩენი თვეები	400

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესასყიდი ფასი
წიწმატი	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	500
დანარჩენი თვეები	150
სიმინდი ტაროებად რძისებრი სიმწიფისა	
მთელ სეზონში	60

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 29 მაისის № 311
დადგენილების დანართი № 2

შესასყიდი ფასები

ბაღჩეული კულტურებისა ყველა კატეგორიის მეურნეობებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში

მანეთობით ტონაში

კულტურების დასახელება და ფასების მოქმედების ვადები	შესასყიდი ფასი
საზამთრო	
1 აგვისტომდე	150
1 აგვისტოს შემდეგ	80
ნესვი	
1 აგვისტომდე	250
1 აგვისტოს შემდეგ	150
გოგრა	
მთელ სეზონში	70

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

67 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 სექტემბრის № 602 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 სექტემბრის № 602 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 სექტემბრის № 602 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფორმის ტანსაცმლის შეკერვა როგორც შემკვეთის, ისე ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის საწარმოების მასალისაგან, უნაღდო ანგარიშსწორების წესით საწარმოების, ორგანიზაციების, სამხატვრო კოლექტივების შეკვეთით (ზომის აღება და ტანსაცმლის ინდივიდუალური მოზომება), ხოლო ავტომანქანებისა და ავეჯის შალითების, ფარდების, პორტიერებისა და ა. შ. — შემკვეთის მასალისაგან“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 5 ივნისი, № 325.

68 ზოგიერთი ადმინისტრაციული შენობის, სანახაოგითი და სპორტული ნაგებობის მშენებლობისა და დაპროექტების შეჩერების შესახებ

„საქალაქო მშენებლობასა და საბინაო მეურნეობაში სახელმწიფო დისციპლინის სერიოზული დარღვევების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 24 თებერვლის № 91 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება დანართში აღნიშნული ობიექტების მშენებლობისა და დაპროექტების შეჩერების შესახებ.

2. დაწესდეს, რომ 1971 წლის 1 იანვრიდან 9 სართულზე მეტი სიმაღლის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ სახმშენისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 8 ივნისი, № 333.

მუხ. 68
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 8 ივნისის № 333
დადგენილების დანართი

ნუსხა

შენობებისა და ნაგებობებისა, რომელთა მშენებლობა შეჩერებულია

ფართოეკრანიანი კინოთეატრი მაიაკოვსკის რაიონულ ცენტრში,
ფართოეკრანიანი კინოთეატრი ბოლნისის რაიონულ ცენტრში,
ფართოეკრანიანი კინოთეატრი დაბა მანგლისში,
საზაფხულო ესტრადა ქ. ტყვარჩელში,
ღია საცურაო აუზი ქ. მახარაძეში,
საჭადრაკო კლუბი ქ. სამტრედიაში,

ნუსხა

შენობებისა და ნაგებობებისა, რომელთა დაპროექტება შეჩერებულია

კალათბურთის კლუბი სათამაშო დარბაზებითა და მოედნებით ქ. თბილისში,
სახელმწიფო მუზეუმი ქ. ცხინვალში,
14-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. სოხუმში კოგონიას ქუჩაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

69 სოფლად მასწავლებელთა ბინების გათბობა-განათების ნორმების დადგენის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილებით მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ევალებოდათ სოფლად მომუშავე შეღავათების მქონე მასწავლებელთა და მათი ოჯახის წევრთა ბინების უფასო გათბობა-განათებით მომსახურება ადგილზე მოქმედი ნორმების მიხედვით. ვინაიდან ყველა რაიონში ასეთი ნორმები დადგენილი არ არის, ხოლო სადაც არის, მათი შედგენის დროს დაცული არ არის ერთიანი პრინციპი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინების გათბობის ნორმების დასადგენად იხელმძღვანელონ თანდართული სარეკომენდაციო მაჩვენებლებით.

მასწავლებელთა ბინების განათების სარეკომენდაციო მაჩვენებელს საფუძვლად უნდა დაედოს ყოველ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე 6 ვატი სიმძლავრის ელექტროგანათება, დღე-ღამეში 7 საათის ხანგრძლივობით.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

ყოველწლიურად დააზუსტონ სოფლად მომუშავე შეღავათების მქონე მასწავლებელთა ოჯახების სიები, საცხოვრებელი ბინების უფასო გათბობა-განათებისათვის ხარჯების ოდენობა, სათბობის საჭირო რაოდენობა და წარადგინონ განაცხადი შესაბამის ზემდგომ ორგანოებში;

ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს რათა სოფლის სკოლის ყველა მასწავლებელი უზრუნველყოფილ იქნეს ნორმალური საბინაო-კომუნალური პირობებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი. 1970 წ. 8 ივნისი, № 335.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 8 ივნისის № 335
დადგენილების დანართი

სათბოგბის სარეკომენდაციო ნორმები

საქართველოს სსრ სოფლის სკოლების მასწავლებელთა ბინების გასათბობად

რაიონების დასახელება	პირობითი სათბობი კგ.			შეშა კბმ.		
	აგვერის სახლები	ქვის სახლები	ხის სახლები	აგვერის სახლები	ქვის სახლები	ხის სახლები
1. ახალქალაქის რაიონი	34,6	50,6	53,1	0,356	0,517	0,547
2. ბოგდანოვკის „	34,6	50,6	53,1	0,356	0,517	0,547
3. მესტიის „	33,2	46,5	50,2	0,341	0,483	0,516
4. წალკის „	31,3	45,1	48,7	0,322	0,460	0,501
5. თიანეთის „	28,7	40,2	43,4	0,295	0,414	0,446
6. ყაზბეგის „	35,2	49,3	53,3	0,363	0,506	0,548
7. ადიგენის „	25,9	38,9	40,4	0,267	0,402	0,416
8. ახალციხის „	24,9	37,2	38,99	0,256	0,379	0,401
9. გორის „	20,9	30,6	31,9	0,215	0,310	0,329
10. ქარელის „	21,6	31,5	32,9	0,220	0,322	0,339
11. ასპინძის „	23,1	34,3	35,6	0,238	0,356	0,367
12. დმანისის „	26,6	38,9	40,6	0,274	0,402	0,419
13. ბორჯომის „	24,7	36,6	38,1	0,254	0,379	0,392
14. ლენტეხის „	22,9	34,1	35,5	0,242	0,351	0,366
15. ხაშურის „	22,7	33,7	35,1	0,232	0,347	0,361
16. თეთრიწყაროს „	24,7	36,6	38,1	0,254	0,379	0,392
17. ონის „	21,96	38,3	33,3	0,225	0,402	0,343
18. წითელწყაროს „	21,96	38,8	33,3	0,225	0,402	0,343
19. ამბროლაურის „	19,0	28,7	29,9	0,195	0,296	0,308
20. დუშეთის „	22,1	33,4	34,7	0,228	0,344	0,358
21. კასპის „	19,4	29,6	30,5	0,200	0,305	0,314
22. მარნეულის „	17,8	26,9	27,98	0,183	0,277	0,288
23. მცხეთის „	17,5	27,5	27,5	0,180	0,217	0,283
24. ცაგერის „	18,8	28,4	29,5	0,193	0,292	0,309
25. ახმეტის „	18,98	27,3	28,5	0,195	0,282	0,293
26. ბოლნისის „	18,5	26,6	27,8	0,191	0,274	0,286
27. გურჯაანის „	17,7	25,5	26,7	0,182	0,262	0,295
28. ყვარლის „	17,5	25,2	26,3	0,180	0,260	0,270
29. ლაგოდეხის „	17,8	25,7	26,8	0,183	0,265	0,276
30. საჩხერის „	19,1	27,5	28,7	0,196	0,283	0,295
31. სიღნაღის „	20,7	29,8	31,1	0,213	0,307	0,321
32. თელავის „	18,8	27,1	28,4	0,193	0,279	0,292
33. გარდაბნის „	17,6	25,8	26,9	0,182	0,266	0,277
34. საგარეჯოს „	20,3	29,7	30,9	0,209	0,307	0,318
35. ზესტაფონის „	15,6	22,9	23,9	0,161	0,236	0,246

ეროვნული ბიბლიოთეკა

		პირობითი სათბობი კგ.			შეშა კბმ.		
		აგურის სახლები	ქვის სახლები	ხის სახლები	აგურის სახლები	ქვის სახლები	ხის სახლები
36. თერჯოლის	რაიონი	14,1	20,6	21,5	0.145	0,213	0,222
37. ორჯონიკიძის	„	14 4	21.0	22 0	0,148	0,216	0,226
38. ვანის	„	11,97	18,2	18,9	0,123	0,187	0,194
39. ლანჩხუთის	„	12,1	18.4	19,1	0,124	0.190	0,197
40. მახარაძის	„	12 6	19,2	19,96	0,130	0,198	0,209
41. მაიაკოვსკის	„	12.8	19.6	20,3	0.131	0.200	0,209
42. ჩოხატაურის	„	13,8	21.1	21,9	0,142	0,217	0,226
43. ჩხოროწყუს	„	14,5	22,2	22,7	0.149	0,229	0,233
44. აბაშის	„	12,1	17,4	18.4	0.124	0,179	0,189
45. გეგეჭკორის	„	12,0	17,2	18,2	0.123	0,177	0,187
46. ზუგდიდის	„	12.5	17,9	18.9	0 129	0,184	0,194
47. სამტრედიის	„	11.5	16,6	16,6	0.118	0,171	0,171
48. ხობის	„	12,5	17.9	18.9	0.129	0,184	0,194
49. წყალტუბოს	„	11,4	16,4	17,3	0.117	0.169	0,178
50. წულუკიძის	„	11,6	16,7	17,6	0,118	0,171	0,182
51. ცხაკაიას	„	11,2	16,1	17.0	0,112	0,166	0.175
52. წალენჯიხის	„	13,1	18,8	19,9	0,134	0.193	0.194
53. ბათუმის	„	10.8	16,2	16,6	0,111	0.167	0,171
54. ქობულეთის	„	12 9	18.7	19,8	0,129	0,184	0.194
55. ქედის	„	14 0	20,6	21,7	0.144	0.213	0,221
56. ხულოს	„	21,3	31.0	32,4	0,219	0,318	0,334
57. სოხუმის	„	11.4	16.8	17.3	0,177	0,172	0,178
58. გაგრის	„	11,1	16,3	16.7	0,113	0,168	0,171
59. ოჩამჩირის	„	12,5	19.0	19.29	0,129	0,195	0 208
60. გალის	„	12.0	18.3	19,0	0,123	0 188	0.197
61. ტყვარჩელის	„	17,3	25.3	26,4	0.178	0 261	0,275
62. გუდაუთის	„	11,4	16,8	17,3	0,117	0.172	0.178
63. ცხინვალის	„	22,1	33,0	34,3	0.228	0,344	0,355
64. ლენინგორის	„	22,9	33,3	34,7	0,236	0,343	0,358
65. ჯავის	„	26,4	39.3	40.9	0,271	0 402	0,412

შენიშვნა: ნორმები გამოყვანილია 1 კვადრატულ მეტრ გასათბობ ფართობზე მთელ სეზონში. გათბობის ხანგრძლიობა დღეღამეში აღებულია 10 საათი.

პირობითი სათბობის ნატურალურ სათბობში გადამყვანი ექვივალენტური კოეფიციენტებია.

ტყიბულის ნახშირი — 0,55
მაზუთი — 1,37
დონეცკის ნახშირი — 0,89
თხევადი გაზი — 1.7
ბუნებრივი გაზი — 1,17—1.19
ტორფი — 0,4

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შეღავათის მქონე პირს კმაყოფაზე ჰყავს ოჯახის წევრები, ამ შემთხვევაში ერთ წევრზე სათბობის ნორმა 1 კვადრატულ მეტრზე უნდა გამრავლდეს 1,1-ზე, ე. ი. გადიდდეს 10 პროცენტით, ორ წევრზე — 1,2-ზე, ე. ი. 20 პროცენტით, ხოლო სამ და მეტ წევრზე 1,3-ზე, ე. ი. 30 პროცენტით.

ცხრილში აღნიშნული პირობითი სათბობის საჭირო რაოდენობა (3-5 გრაფები), ცხრილშივე ნაჩვენები შეშის ოდენობა კუბური მეტრობით (6-8 გრაფები) გამოთვლილია პირობითი სათბობის ოდენობის მიხედვით, ხოლო თუ საჭიროა სხვა სახის სათბობის ოდენობის გამოანგარიშება, გამოყენებულ უნდა იქნეს ზემოთ მოყვანილი კოეფიციენტები.

მაგალითი: ტყიბულის ნახშირის ხარჯვის ნორმის გაანგარიშება ახალქალაქის რაიონის ხის შენობისათვის: პირობითი სათბობის რაოდენობა 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე შეადგენს 53,1 კილოგრამს (იხ. მე-5 გრაფა), ეს რაოდენობა გაიყოფა ტყიბულის ნახშირის ექვივალენტურ კოეფიციენტზე —

$$\frac{53,1}{0,55} = 96,5$$ კილოგრამ ტყიბულის ნახშირს.

თუ ბინის ფართობი 10 კვადრატული მეტრია, 96,5 კგ გამრავლდება 10-ზე და მივიღებთ 965 კილოგრამს. თუ შეღავათის მქონე მასწავლებელს ოჯახში ჰყავს სამი წევრი, სათბობის ზემოაღნიშნული რაოდენობა გაიზრდება კიდევ 30 პროცენტით, ე. ი. 965 × 1,3 = 1254,5 კილოგრამს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

70 საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოტნეულისა და ხილის სახელმწიფო საცალო ფასების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ძირითად სახეობათა ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

2. დაწესდეს, რომ „საქკონსერვხილბოსტანის" სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციები ბოსტნეულსა და ხილს მიაწვდიან „საქხილბოსტანვაჭრობას", საქართველოს სსრ სავაჭრო საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს ფრანკო-დანიშნულების სადგური ან ფრანკო-ავტომანქანა მყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით, საცალო ფასებში, დაწესებული სავაჭრო ფასდაკლების დაქვითვით.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ შეიცვალა შესასყიდი ფასები, დამზადების ხარჯების ნორმები და დაწესდა სამპროცენტიანი ანარიცხები იმ ორგანიზაციე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისათვის, რომლებიც ეწევიან ბოსტნეულისა და ხილის დამზადებას, გადაზიდვას, გადამუშავებასა და შენახვას, დაევალოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტთან „საქკონსერვხილბოსტანთან" ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ცალკეულ სახეობათა ბოსტნეულისა და ხილის საანგარიშსწორებო ფასები დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის დანახარჯების განსხვავების ასანაზღაურებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე მისი ანაზღაურების წესი.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყველა წინათ გამოცემული დადგენილება და განკარგულება ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 12 ივნისი, № 349.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 12 ივნისის № 349
დადგენილების დანართი № 1

ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების საცალო ფასები

კულტურების დასახელება და ფასების შემოღების ვადები	საცალო ფასი მანეთობ. და კაპ. კგ-ბში
1. თავთეთრა კომბოსტო	
იანვარი, თებერვალი, მარტი	0—20
აპრილი, მაისი	0—25
ივნისი	0—20
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი	0—10
2. ადგილობრივი კიტრი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	2—30
მაისი	1—20
ივნისი	0—30
ივლისი, აგვისტო	0—12
სექტემბერი	0—15
ოქტომბერი, ნოემბერი	0—25
3. ნეჟინის კიტრი	
მთელ სეზონში:	
70 მმ-მდე	0—40
71-დან 90 მმ-მდე	0—30
90 მმ-ზე მეტი	0—20
4. წითელი პამიდორი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	2—50
მაისი	1—40
ივნისი	0—60
ივლისი	0—25
აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი	0—12
ნოემბერი	0—30
5. მწვანე და მურა პამიდორი	
მთელ სეზონში:	0—10
6. თავიანი ხახვი	
ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი	0—30
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი	0—20
6-ა ახალი თავიანი ხახვი	
(მთლიანი ან ნაწილობრივ შეჭრილი ფოჩით) მთელ სეზონში	0—15
7. მწვანე ხახვი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	0—20
მაისი, ივნისი	0—10
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი	0—08

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება და ფასების შემოღების ვადები	საცალო ფასი მანეთობ. და კაპ. კგ-ბში
8. ფოჩიანი ნიორი	
ახალი 1 სექტემბრამდე	0—60
9. ფოჩიანი ნიორი ხმელი	
სექტემბერი, ოქტომბერი	0—70
დანარჩენი თვეები	0—90
10. ხტაფილო უფოჩო	
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი . . .	0—10
დანარჩენი თვეები	0—15
11. სუფრის ჭარხალი უფოჩო	
მთელ სეზონში	0—10
12. ყვავილოვანი კომბოსტო	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	0—50
აპრილი	0—40
მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	0—30
ოქტომბერი, ნოემბერი	0—40
13. ბადრიჯანი	
ივნისი, ივლისი	0—20
დანარჩენი თვეები	0—08
14. წიწაკა მწარე (წითელი)	
მთელ სეზონში	1—70
15. წიწაკა მწარე ახალი (წითელი, მწვანე)	
მთელ სეზონში	0—40
16. წიწაკა ტკბილი ახალი (ბულგარული)	
მთელ სეზონში	0—25
17. ისპანახი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	0—25
დანარჩენი თვეები	0—10
18. თვის ბოლოკი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	0—30
მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი	
ოქტომბერი, ნოემბერი	0—25
19. წითელი ბოლოკი (ჩინური)	
მთელ სეზონში	0—12

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება და ფასების შემოღების ვადები	საცალო ფასი მანეთობ. და ყაპ. კგ-ბში
20. ყაბაყი	
მთელ სეზონში	0—10
21. პარკი ლობიო	
მთელ სეზონში	
„ბუოული, ჩიტისკვერცხა“ და სხვა საკონსერვო ჯიშები . . .	0—40
დანარჩენი ჯიშები	0—25
22. მწვანე ბარდა რძისებური სიმწიფისა პარკიანი	
მთელ სეზონში	0—35
23. ოხრახუში	
მთელ სეზონში	0—40
24. ნიახური	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	0—50
დანარჩენი თვეები	0—25
25. წიწმატი	
იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	0—40
დანარჩენი თვეები	0—15
26. ქინძი	
დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	0—45
დანარჩენი თვეები	0—25
27. ტარო სიმინდი რძისებრი სიმწიფისა	
მთელ სეზონში	0—10
28. ხაზამთრო	
1 აგვისტომდე	0—20
1 აგვისტოს შემდეგ	0—12
29. ნესვი	
1 აგვისტომდე	0—30
1 აგვისტოს შემდეგ	0—20
30. ვოგრა	
მთელ სეზონში	0—10

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 12 ივნისის № 349
დადგენილების დანართი № 2

ხილის, თხილისა და კაკლის, ხმელი ხილის (ჩირის) საცალო ფასები

დასახელება	საცალო ფასი მან. და კაპ. კილოგრამში
თესლოვანი ხილი	
ვაშლი	
1 სექტემბრამდე	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—60
II ხარისხი	0—50
III ხარისხი	0—35
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—50
II ხარისხი	0—40
III ხარისხი	0—25
1 სექტემბრიდან	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—70
II ხარისხი	0—60
III ხარისხი	0—40
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—60
II ხარისხი	0—50
III ხარისხი	0—30
1 დეკემბრიდან	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—85
II ხარისხი	0—70
III ხარისხი	0—45
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—70
II ხარისხი	0—55
III ხარისხი	0—40
მსხალი	
1 დეკემბრამდე	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—70
II ხარისხი	0—55

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელება	საცალო ფასი მან. და კაპ. კილოგრამში
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—60
II ხარისხი	0—40
მესამე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—30
II ხარისხი	0—25
1 დეკემბრიდან	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—85
II ხარისხი	0—65
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—70
II ხარისხი	0—50
მესამე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—35
II ხარისხი	0—30
„კანფერის ნათესარი" — მსხლის ჯიში	
I ხარისხი	0—48
II ხარისხი	0—35
კომში	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—45
II ხარისხი	0—35
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—35
II ხარისხი	0—30
კურკოვანი და სხვა ხილი	
ქლიავი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—30
II ხარისხი	0—25
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—25
II ხარისხი	0—20

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელება	საცალო ფასი მან. და კან. კილოგრამში
ტყემალი მერაბელი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	0—30
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	0—25
ალუჩა	0—30
ატამი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—65
II ხარისხი	0—50
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—45
II ხარისხი	0—30
გარგარი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—40
II ხარისხი	0—30
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—30
II ხარისხი	0—25
ბალი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—40
II ხარისხი	0—35
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—30
II ხარისხი	0—25
ალუბალი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—50
II ხარისხი	0—40
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—35
II ხარისხი	0—30
შინდი	
ბალისა	0—40
ბროწეული	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	0—40
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	0—30
თუთა	
მსხვილი	0—20
წვრილი	0—15
ლელეი	0—40

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელება	საცალო ფასი მან. და კაპ. კილოგრაშში
ხლმარტლი სუბტროპიკული და ბალის	0—35
ხურმა სუბტროპიკული	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	0—30
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	0—25
ნუში	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	1—25
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	0—15
თხილი	
პირველი პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	1—25
II ხარისხი	1—00
მეორე პომოლოგიური ჯგუფი	
I ხარისხი	1—00
II ხარისხი	0—80
კაკალი	
I ხარისხი	1—25
II ხარისხი	1—00
ჩირი	
ვაშლისა და მსხლის ჩირი	
უკანოდ და უგულოდ	1—30
ყანითა და გულით	0—95
შავი ქლიავის ჩირი	
I ხარისხი	1—60
II ხარისხი	1—10
ქლიავის ჩირი	
უკურკოდ	1—30
კურკიანად	1—10
ატმის ჩირი	
უკურკოდ	1—30
კურკიანად	1—00
ლეღვის ჩირი	1—50
ალუბლის	
კერკი	1—10
ბლის	
კერკი	0—90
შინდის	
კერკი	0—60
სუბტროპიკული ხურმის	
ჩირი	1—80

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელება	საცალო ფასი მან. და კან. კილოგრამში	
ციტრუსოვანთა ნაყოფი		
მანდარინი სტანდარტული	0—90	
მანდარინი არასტანდარტული	0—45	
სტანდარტული ფორთოხალი I ჯგუფისა	1—10	
სტანდარტული ფორთოხალი II ჯგუფისა	0—90	
არასტანდარტული ფორთოხალი	0—45	
ფეიხოა	1—00	
გრეიპფრუტი	0—90	
პამპელმუსი	0—90	
კინკანი	0—48	
ციტრონი	0—35	
	ცალში	
	I ჯგუფი	II ჯგუფი
სტანდარტული ლიმონი 70 მმ-დან და მეტი	0—30	0—17
სტანდარტული ლიმონი 70 მმ-ზე ნაკლები 60 მმ-მდე	0—25	0—15
სტანდარტული ლიმონი 60 მმ-ზე ნაკლები 51 მმ-მდე	0—20	0—12
სტანდარტული ლიმონი 51 მმ-ზე ნაკლები 45 მმ-მდე	0—15	0—10
სტანდარტული ლიმონი 45 მმ-ზე ნაკლები 42 მმ-მდე	0—10	0—06
არასტანდარტული ლიმონი კგ	0—40	0—35

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 ადგილობრივი საფინანსო ორგანოების გადასაწყვეტად ზოგი ერთი საკითხის გადაცემის შესახებ

ზოგიერთი საფინანსო საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეთ ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საფინანსო განყოფილებათა გამგეების გადასაწყვეტად შემდეგი საკითხები:

ა) სესხის მიცემა აუცილებლობის შემთხვევაში ადგილობრივი ქვემდგომი ბიუჯეტებისათვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობით დროებითი საკასო გარღვევის დასაფარავად იმ პირობით, რომ დაიფაროს ეს სესხი მიმდინარე წლის ფარგლებში;

ბ) იმ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების კრებსითი ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება, რომლებიც იმყოფებიან შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის ბიუჯეტზე, სპეციალური სახსრების მოქმედი ნუსხის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 2 დანართის მე-20 პუნქტი და პუნქტი 7 „დებულებისა სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო-კომისართა საბჭოს 1936 წლის 3 ნოემბრის №1442 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 26 ივნისი, № 366.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1970 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 5 სააღრიცხვო თაბახი 5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2350 შეკვეთა № 838

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

688/193

ეროვნული
ბიბლიოთეკა